

### პოლიტიკა

ქართული  
წინასწარმეტყველებით  
მარათონის ასახვა  
ძველბარძნული  
მითაზვი

ზოგჯერ იფიქრებთ, რომ ზევსის მიერ ნაჩუქარ ყუთს, რომელშიც ყველა მიწიერი უბედურება, ჭირი და კაჟმანი იყო თავმოყრილი, ცნობისმოყვარე პანდორამ სწორედ საქართველოში ახადა თავი.

A2

### საზოგადოება

გამოცხადება  
მასხათას მთავარი

ორიოდე წლის წინათ ვაზისუბანში ხმა გავარდა, ადამიანს ღმრთისმშობელი გამოცხადებიაო. როგორც ამბობდნენ, ერთ-ერთ მანდილოსანს ჰქონდა ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის ხილვა. იმ დღიდან მოყოლებული, ვაზისუბნელები და არა მარტო ისინი აღნიშნულ ადგილზე, სადაც ჯვარი იმთავითვე აღმართეს, სისტემატურად დადიან სალოცავად.

A3

### ეკონომიკა

საბაჟო კოდექსში  
განხორციელებული  
ცვლილებების  
წინასწარ  
გადახედვის  
კრძალვის

საბაჟო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი გასულ კვირას მოაწერა, საქონლის განბაჟებამდე წინასწარ გადახდილი თანხის ხაზინის ანგარიშზე გადაირიცხვას და დაგროვილი აქტივების სხვა იმპორტიორებზე გაყიდვას კრძალავს.

A4

### სამართალი

მომარაგების  
შეზღუდვის  
ბრძანების  
ბრძანების  
ბრძანების

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ხონის კოლონიის პატიმრები შიმშილით შეხვდნენ. სხვადასხვა კოლონიებში ასზე მეტი მსჯავრდებული ამ დღეს შეწყალებას ელოდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, არც ერთი კატეგორიის პატიმარს არ გაუშარტა. ყოფილი მემორები დღესაც შიმშილობენ.

A5

### უცხოეთი

ბაღდადში  
დროებითი  
მთავრობის  
შესაქმნელად  
ეზრადების

ბაღდადში განსხვავებული პოლიტიკური მიმდინარეობების, კონფესიების და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა მოლაპარაკება დაიწყო. მათ ერაყის მომავალი უნდა გადაწყვიტონ.

A7

### კვირა

თბილისი	14	☀
ქუთაისი	19	☁
ბათუმი	16	☀
სოხუმი	18	☀
ფოთი	18	☀
თელავი	12	☀
ჯუბჯუბი	21	☀
გორი	13	☁
ახმეტა	13	☁
ჭიათურა	17	☁
ბაზრა	17	☀
სამტრედი	19	☀

უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.3545
გირვანქა სტერლინგი	3.3839
რუბლი	0.0691

## ნატო-ს ემისიები საქართველოს დანვრილებით სწავლობენ



მარკუს შეკელი (მარცხნივ) და ნატო-ს საპარლამენტო დელეგაცია.

ლენა მიქაძე

“გასული წელი საქმოდ წარმატებული იყო პანკისში წესრიგის, უსაფრთხოების დამყარების თვალსაზრისით. თუმცა, როგორც ვხედავ, პრობლემა მაინც არსებობს, ძირითადად, ამ რეგიონში მცხოვრები დევნილების მხრივ, რომელთა მიმართ მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისგან თუ საერთაშორისო საზოგადოებისგან ნაკლებად იგრძნობა”, - ასეთი აზრი გა-

მოთქვა ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა მარკუს შეკელმა გაზეთ “24 საათთან” საუბარში, პანკისური ვითარების შემდეგ. ხუთდღიანი ვიზიტით საქართველოში მყოფმა ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა ქვეყნის განიხილეს პანკისის მონახულებით დაინიშნეს. ამის შემდეგ, საქართველოდან გამგზავრებამდე, ანუ 30 აპრილამდე, ისინი ჩვენი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირებს - ქვეყნის მეთაურს, პარლამენტის თავმჯდომარესა და და-

ლოვან მინისტრებს უნდა შეხვდნენ. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, ნატო-ში საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის გიორგი ბარამიძის განმარტებით, “დელეგაციის ძირითადი მიზანი საქართველოში არსებული ვითარების შესწავლაა. საქართველოსათვის კი ეს მნიშვნელოვანი თუნდაც იმის გამო გახლავთ, რომ დელეგაციის წევრები მიუკერძოებელ ინფორმაციას წაიღებენ ბრუნსელში. საქართველოში არსებულ ვითარებაზე ნატო-ში

არა რუსები ან ქართველები ისაუბრებენ, არამედ ის ხალხი, ვისაც ნატო-ს პოლიტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ეთქმის სიტყვა”. გუმბეგ სტუმრები გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელსა და ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს უნდა შეხვდნენ. თუმცა, პაიდი ტალივანთან გუმბეგ დამატებითი შეხვედრა, ნესით, დღეს უნდა შედგეს. გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი 28 აპრილს სოხუმში იმყოფებოდა.

ბაზრქობა A2 ბავრძა

## მთავრობა მანვე ჩვევებს არ იხლის

მაშინ, როცა მთავრობა 16-მილიონიანი გარღვევის მიუხედავად, პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულებაზე ამაყად საუბრობს, ექსპერტები მას ბიუჯეტის შესავსებად “მანკიერი” მეთოდების გამოყენებაში ადანაშაულებენ. ეს ფინანსური მეთოდები საზოგადოებისთვისაც უკვე კარგად ნაცნობი წინასწარი გადახდები და ე.წ. “პრაკრუტკები”. მთავრობისგან განსხვავებით, რომლისთვისაც პრიორიტეტი გეგმის მხოლოდ ქაღალდზე შესრულებაა, ექსპერტებისთვის შემოსავლების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გეგმის შესასრულებლად გამოყენებული ხერხები. რა თქმა უნდა, ექსპერტების ბრალდებებს მთავრობამ დროულად “უპასუხა”. აღმასრულებელი ხელისუფლება ზოგ შემთხვევაში აცხადებს, რომ საქმე ტერმინოლოგიურ გაუგებრობასთან გვაქვს, ზოგ შემთხვევაში კი, აღნიშნული მეთოდების გამოყენებას საერთოდ უარყოფს. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ ექსპერტები. მათი განმარტებით, პირველი კვარტლის გეგმის შესრულება სწორედ წინასწარი გადახდებისა და “პრაკრუტკების” კარგად აპრობირებული მეთოდების ხარვეზი მოხდა.

ლიონი ლარი დააკლდა”. აქედან 14 მილიონი აჭარიდან გამომდინარეობს თანხები. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, რომ აჭარიდან მისაღები თანხები პროგნოზიდან ამოვარდეს, რაც გარღვევის მოცულობასაც შეამცირებს.

ბაზრქობა A4 ბავრძა

## დსთ-ში კიდევ ერთი ორგანიზაცია შეიქმნა

პოტა უბიპვილი

გუმინ რუსეთმა და მისმა ხუთმა ერთგულმა მოკავშირემ - ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა, სომხეთმა და ბელარუსმა მორიგი რეგიონული ორგანიზაცია შექმნეს. ამჯერად მისი სახელია “კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულების ორგანიზაცია”. საზეიმო ცერემონიალი ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გაიმართა. ამავე ქვეყნის პრეზიდენტი, ემო-მალი რაზმოზოვი ახალი ორგანიზაციის თავმჯდომარე გახდა. დსთ-ს რამდენიმე ქვეყანამ კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულება ზუსტად ათი წლის წინ დადო. მას შემდეგ ეს ორგანიზაცია, როგორც სრულიად უსარგებლო, სამმა

ბაზრქობა A7 ბავრძა

## აღდგომა



საჩხერის რაიონი, სოფელი ჩიხა. ღვთისმშობლის ეკლესია.

## დსთ-ს შინაგან საქმეთა მინისტრები თბილისში შეიქმნენ

სოფიო მახიძე

დღეს თბილისში გაიხსნა დსთ-ს ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების მორიგი კონფერენცია. დსთ-ს სახელმწიფოს შს მინისტრები (ან მათი მოადგილეები) ორი დღის მანძილზე სასტუმრო “მარიოტში” განიხილეს ერთობლივი ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იქნება ტერორიზმის, კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკობიზნესის, იარაღის უკანონო ვაჭრობის, უკანონო მიგრაციისა და სხვა სახის დანაშაულის წინააღმდეგ.

“არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სივრცე, კრიმინოგენული თვალსაზრისით, ერთიანი სივრცეა და ამიტომ გვაქვს საერთო მიზნები, ამოცანები და საერთო გამოცდილება (კი)”, - აცხადებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მიიჩნევს, რომ შეხვედრის მონაწილეებს ბევრი რამ ექნებათ ერთმანეთისთვის სათქმელი. თუმცა, მიუხედავად საერთო პრობლემებისა, ამ ეტაპზე კობა ნარჩენაშვილი გამოირჩევა მეზობელი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრებთან ერთად რამდენიმე ერთობლივი ოპერაციის დაგეგმვას.

დსთ-ს შინაგან საქმეთა მინისტრები ერთმანეთს პერიოდულად სხვადასხვა წვერი ქვეყნების ტერიტორიაზე ხვდებიან. უკანასკნელი ასეთი კონფერენცია ბაქოში გაიმართა. თბილისში მსგავსი შეხვედრა 1995 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. ამჯერად კოლევებს სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხებს შინაგან საქმეთა მინისტრი წარუძღვება. მას, როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს, ტრადიციისამებრ საბჭოს თავმჯდომარედ აირჩივნენ და ამ ტიტულს კობა ნარჩენაშვილი მომავალ შეხვედრამდე ატარებს.

ბაზრქობა A5 ბავრძა

## სკანდალი, რომელიც ქანცელარია ოპოზიციის სასარგებლოდ ააგონა

ბადრი კოკლაძე

სააღდგომო დღესასწაულების მიუხედავად, ქართული პოლიტიკა სამუშაო რიტმში აგრძელებს დინებას და სახელმწიფო მინისტრებიც გასულ შაბათ-კვირას ჩვეულებისამებრ ეთაობრა სახელისუფლო ბლოკის წარმომადგენლებს. ეს თავყრილობები, ძირითადად, დეზურულ რეჟიმში მიმდინარეობს, ამიტომაც მოსახლეობამდე მხოლოდ ის ინფორმაცია აღწევს, რომელსაც “ახალი საქართველოსათვის” ლიდერები პრესკონფერენციებზე აცხადებენ. რამდენიმე დღის წინ პრესასთან ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ბლოკის სპიკერმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილმა ახალი შეთქმულება ამხილა. მისი განცხადების სხვა დეტალებზე აქ აღარ შეეჩერებით, რადგანაც “კმარას” ძირგამომთხრელი საქმიანობა” საქმოდ საფუძვლიანად მიმოიხილა დღევით უსუფაშვილმა “24 საათში” გამოქვეყნებულ სააპრილო თეზისებში. წინამდებარე სტატიის მიზანი ამ საკითხის მხოლოდ პოლიტიკურ-ლოგიურ მხარეზე ყურადღების გამახვილებაა.

არჩევნების წინ ყველა პოლიტიკური დაჯგუფება ცდილობს ამომრჩევლებზე ზემოქმედებას. უმრავლეს შემთხვევაში ეს კონკურენტი პარტიების ან ძალების დისკრედიტაციის მცდელობებში გამოიხატება, რისთვის შესაძლებელია სცენარებიც მუშავდებოდეს.

ბაზრქობა A2 ბავრძა







# გამოსხადება მახათას მთაზე

ზაზა ფაჩავაძე



ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელ

ორიოდე წლის წინათ ვაზისუბანში ხმა ვავარდა, ადამიანს ღმრთისმშობელი გამოცხადებდაო. როგორც ამბობდნენ, ერთ-ერთ მანდილოსანს ჰქონდა ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის ხილვა. იმ დღიდან მოყოლებული ვაზისუბნელები და არა მარტო ისინი აღნიშნულ ადგილზე, სადაც ჯვარი იმთავითვე აღმართეს, სისტემატურად დადიან სალოცავად. ახლა კი გადაწყდა, რომ მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი და მამათა მონასტერი აშენდება.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ფორცხალების მონასტერში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა მეუფე დანიელმა. პრესრელიზში ვკითხულობთ:

“ჩვენს ხალხში ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატისადმი სიყვარული და სასოება განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე გამოვლინდა, როდესაც ცნობილი გახდა ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის გამოცხადების შესახებ. გამოცხადებაში ღმრთისმშობელი ქართველ ერს მისდამი მხურვალე ვედრებისა და მახათას მთაზე ტაძრისა და მონასტრის მშენებლობისაკენ მოუწოდებდა. მას შემდეგ დღემდე მოყოლებული მახათას მთაზე არ წყდება მლოცველთა ნაკადი. ქარში, თოვლში, წვიმასა და პაპანაქება სიციხეში, ღია ცის ქვეშ ღმრთისმშობლისადმი მხურვალე ვედრება აღველინება.”

მეუფე დანიელმა საზოგადოებას ამცნო, რომ შექმნილია ივერიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდი და შესაბამის პროექტზე მომუშავე ჯგუფი. პროექტის განხილვა

და შემდგომ მშენებლობის დაწყებაც შემოდგომისთვის არის ნაგარაუდები. მეუფე დანიელი: “საერთოდ გამოცხადებისადმი საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება

აქვს. ერთი ნაწილი მეტისმეტად კრიტიკულია, მეორე – მეტისმეტად აღტაცებული. არც ერთი უკიდურესობა არ ვარგა. მიუღებელია ათეისტური სკეფისიცი და მოვლენის გაფეტიშება, ეგზალტაცია. ასეთ დროს ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ზომიერება და სიფრთხილე, რათა მოვლენის სწორი შეფასება მოვახდინოთ. ამ გამოცხადებისადმი საზოგადოებაში შექმნილმა განწყობილებამ და მახათას მთაზე მიმდინარე მოვლენებმა განსაზღვრა ეკლესიის დადებითი პოზიცია. განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პირველი არის ხალხის აღიარება, რწმენა და სიყვარული. მოგეხსენებათ, რომ 2 წლის განმავლობაში ამ ადგილზე ნებისმიერ ამინდში ყოველდღიურად მიდიან ადამიანთა ჯგუფები და ლოცულობენ. საერთოდ მორწმუნე ერის ასეთი დამოკიდებულება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანთა წმინდანად შერაცხვის დროსაც. ამის მაგალითია ცოტნე დადიანი. ხალხის წმინდანად მიჩნდა, რასაც ბოლოს ეკლესიაც დაეთანხმა.

მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ მახათას მთაზე უკვე ერთი წელია, რაც ასკეტურ პირობებში მოღვაწეობს სამი ბერი. მათ სულ რამდენიმე თვის წინათ აიტანეს ვაგონი, თორემ ისე მომთქვამებულ ადგილზე ერთ მიტოვებულ სადგომში იყვნენ. ღმრთის ნების გარეშე ისინი ამდენს ვერ შეძლებდნენ.”

29 აპრილი ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაულია. ამასთან დაკავშირებით მახათას მთაზე საზეიმო ნირვა-ლოცვა აღველინება.

## აკადემიკოსი არჩილ ასათიანი - ფიზიოლოგთა მესამე თაობა

გუშინ გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს არჩილ ასათიანს 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით იგი ღირსების ორდენით დააჯილდოეს. წარმომადგენლობით სიგელში იმდენი დამსახურებაა ჩამოთვლილი, რომ, როგორც თავად ბატონი არჩილ ზუმრობს, მასაც კი უჭირს ამის გაპირობება.

არჩილ ასათიანი დაიბადა 1933 წელს. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა სასწავლებელი და 1951 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. განსაკუთრებით ფიზიოლოგიამ გაიტაცა და სწორედ ფიზიოლოგიის კათედრაზე დაიწყო სამეცნიერო კვლევითი მუშაობა. მონაწილეობდა სტუდენტთა კონფერენციებში მთელი სსრკ-ს მასშტაბით.

ამავე დროს იყო ნახევრად პროფესიონალი სპორტსმენი და საქართველოს ახალგაზრდა ფრენბურთელთა ნაკრების გუნდის თავიცი გახლდათ.

სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრაზე. ამის შემდეგ მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ამ კათედრას უკავშირდება. ასპირანტურის შემდეგ გახდა კათედრის ასისტენტი, 1968 წელს - დოცენტი, 1972 წელს - პროფესორი. 1987 წლიდან დღემდე ამ კათედრის გამგეა.

მისი მასწავლებელი იყო საქართველოში ნორმალური ფიზიოლოგიის ფუძემდებლის ივანე ბერიტაშვილის მონაწილე პროფესორი ალექსანდრე ბაკურაძე. ფიზიოლოგთა მესამე თაობა ვარო, ამბობს იუბილარი. 1989 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

1999 წელს აღორძინების ბლოკიდან დეპუტატი გახდა. ამჟამად “ერთიანი საქართველოს” წევრია, ძალაუფლება არ აინტერესებს, როგორც ამბობს, ძალაუფლება იმით ხელში აინტერესებს, ვინც ქვეყნისთვის სასიკეთოდ გაირჯება.

ბატონი არჩილ ასათიანი მონაწილეობს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში. თავმჯდომარეობს ჯანდაცვის სამინისტროს მეცნიერების და განათლების საკოორდინაციო საბჭოს და არაერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კომისიისა, თუ კომიტეტის წევრია, მაგრამ მის ცხოვრებაში სულ სხვა რამ ყოფილა საოცარი.

არჩილ ასათიანი: “ ოთხი შვილშვილი მყავს. ესენი არიან ჩემი საოცრებები. მათ, რომ ვუყურებ, ძალიან მიხდა, ვიყო ჯანმრთელად.”

“24 საათი”

### მოკლედ

**თბილისი.** დღეს საქართველოს საპატრიარქოს სამკვიდრო დელეგაცია, ასტრახანში დაკრძალულ ქართველ მეფეთა საქართველოში გადმოსვენების საკითხთან დაკავშირებით, ასტრახანში გაემგზავრა. “24 საათი”

**თბილისი.** კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტს საქართველოს პირველი კონტროლიორის ფილიპე გოგინაშვილის სახელობის სტიპენდიებს დაუნიშნავს. “24 საათი”

**თბილისი.** შორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტში სინჯარაში განაცხადდა მეფეთა საქართველოში გადმოსვენების საკითხთან დაკავშირებული ექიმებმა სამი ტყუპის დაბადება შეძლეს. “24 საათი”

# ატენის სიონს დანგრევის საშიშროება ემუქრება

ვასილ ბალაქარი

ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშის - ატენის სიონის ტაძრის გამაგრებისა და დაცვის სამუშაოები უკანასკნელად 1983 წელს ჩატარდა. მას შემდეგ ნაგებობა მნიშვნელოვნად დაზიანდა - დეფორმაცია მიიღო ტაძრის საყრდენი ბაქის კედელმა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის დიდი ნაწილი შარშან შემოდგომას ჩამოიშალა. საფრთხე შეექმნა ტაძრის მდგრადობას. მოგვიანებით, ზამთრის ყინვების დროს ტაძრის ინტერიერი - სამხრეთის აფსიდის დაზიანდა

და ფერწერული ფრაგმენტი ჩამოიშალა. როგორც გორის რაიონის მთავარი არქიტექტორი გაია სოსანიძე ამბობს, ამის მიზეზია გუმბათთან გაყოფილი წყალი.

ზიანდება უნიკალური ფერწერა და მისი გამაგრება გადაუდებელია. აუცილებელია ტაძრის საყრდენი კედლის აღდგენაც, - განაცხადა გაია სოსანიძემ, - როგორც ცნობილია, საპატრიარქოსთან ახლახან შეიქმნა ხუროთმოძღვრების, სახვითი ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ხელმძღვანელობს. საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ნებისმიერი სამუშაო

მხოლოდ ცენტრის ნებართვით და ზედამხედველობით უნდა განხორციელდეს. საპატრიარქოს წარმომადგენლების მიერ პირველი რიგის ღონისძიებების წესსა და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია. კონკრეტული თანხმად, სამუშაოები უნდა შეთანხმდეს საქართველოს მეგობარ დაცვის დეპარტამენტთანაც. დეპარტამენტის წარმომადგენლები ატენის სიონის სანახავად ჩაივლინენ, ტაძარი მოინახულეს, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. დრო აღარ ითმენდა და ადგილობრივი ძალებით მოხდა დაზიანებული საყრდენი კედლის დროებითი გადახურვა, რათა ნალექებისაგან დაცული ყოფილიყო. გუმბათთან დაიდგა ხარაჩი, გადახურვის დაზიანებული

ადგილები შეკეთდა, მაგრამ ეს დროებითი საშუალებაა.

„სასწრაფო, გადაუდებელი სამუშაოებისთვის სულ 200 000 ლარი გვაქვს გათვალისწინებული, - თქვა „24 საათთან“ საუბარში ძველთა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძემ, - მაგრამ ეს ძალიან მცირე თანხაა, ერთი მეგლის ალდგენასაც არ ეყოფა. ბუჯეტიდან თუ წამოვა დაფინანსება, გადაუდებელ სამუშაოებს ატენის სიონით დაიწყებთ, იგი ამ სიაში პირველია. თვითონ მუშაობის მდგომარეობა საგაგამო არ არის, საგანგაშოა საყრდენი კედლის მდგომარეობა.“


რამდენად დამაკმაყოფილებელიც

უნდა იყოს მუშაობის მდგომარეობა, საყრდენი კედლის დაზიანება მთლიანად ნაგებობას უქმნის საფრთხეს, ამიტომ მწირი ბუჯეტის იმედად დარჩენილი ტაძარი ნელ-ნელა სულ რომ არ დაიშალოს, შეიქმნა „ატენის სიონის აღდგენის ფონდი“, რომელსაც სამთავისისა და გორის ეპისკოპოსი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ანდრია ხელმძღვანელობს. ფონდში შემოსული თანხებით არა მარტო გადაუდებელი გასამაგრებელი სამუშაოების განხორციელება ნაგარავდება, არამედ ტაძრის მოვლა-პატრონობის და პოპულარიზაციის ღონისძიებებიც. მათ შორის, ცნობილი მეცნიერების - გურამ აბრამიშვილისა და ზაზა ალექსიძის ნაშრომის გამოცემაც, რო-

მელშიც მრავალწლიანი კვლევისა და არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ტაძრის აღდგენას ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებობდა ბაზილიკა. გაია სოსანიძეს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ნათელი მოეფინოს ზოგიერთი მეცნიერის მიერ გაკრეცილებულ მოსაზრებას ტაძრის არქიტექტორის ეროვნების შესახებ: „ნაშრომში დასაბუთებულია, რომ სომეხი თოდოსაკი, რომლის სახელიც სიონის ფსაღზეა ამოკვეთილი, მხოლოდ ტაძრის რესტავრატორი იყო და არა ხუროთმოძღვარი. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და, ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად, ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს.“

# ქრისტე აღსდგება!

ჯეოსეილი გილოცავთ  
კდდგომის  
ბრწყინვალე  
დღესასწაულს!



ჯეოსეილი  
GEOGEIL



# საბაჟო კოდექსი განხორციელებული ცვლილება წინასწარ გადახდას ქრძალავს

### სოფიო ოხანაშვილი

საბაჟო კოდექსი შეტანილი ცვლილება, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი გასულ კვირას მოაწერა, საქონლის განაყვებაზე წინასწარ გადახდილი თანხის ხაზინის ანგარიშზე გადარიცხვასა და დაგროვილი აქტივების სხვა იმპორტიორებზე გაყიდვას კრძალავს. პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტის თანახმად, საბაჟო ვალდებულება დაგროვილი აქტივებით ან უკან დაუბრუნოს ფირმას ან მომავალი საქონლის განაყვებისთვის ჩათვალოს. ცვლილებათა კანონპროექტის ავტორის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჯამბულ ბაკურაძის განცხადებით, ასეთი ცვლილების განხორციელების აუცილებლობა საბაჟო სასაზღვრო შემოსემების შედგენად აღმოჩენილმა ფაქტებმა განაპირობა. შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემოსემების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე ფირმა, რომელსაც 2002 წლის მეორე ნახევრიდან საბაჟოს ანგარიშზე ყოველთვიურად მილიონობით ლარი აქვს შეტანილი, ისე, რომ საქონლის იმპორტი საერთოდ არ განხორციელებიათ. ასეთი ფირმები შორის ბაკურაძე შპს

## მონიტორინგი

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ დეფიციტის დაფინანსების ექვსი თვის პროგნოზი გაზრდილია 6.5 მილიონ ლარით და 25 აპრილიდან ის 118.66 მილიონ ლარს შეადგენს.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოქტომბრული ინფორმაცია 26 აპრილისთვის

დასახელება	ექვსი თვის პროგნოზი	შესრულება	%	25 აპრილი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	521.20	266.01	51%	2.75
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	376.49	189.14	50%	1.9
საგადასახადო შემოსავლები	310.64	156.63	50%	1.87
სოციალური ფონდი	116.81	65.89	56%	0.74
საგზაო ფონდი	24.05	11.07	46%	0.02
დეფიციტის დაფინანსება	118.66	74.13	62%	0.02

**სსს „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე“ სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები**

- სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ჩვენი კონსულტაციები ახალსა და კონსერტივების შედეგად უფრო მეტი გათვით გასულია „24 საათი“.
- გადასახადო კვლევითი კონსულტაციები საგადასახადო საბაჟო საკითხებზე და წარმოსადგენლობის სახელმწიფო ორგანიზაციის ურთიერთობებზე.
- გადასახადო კვლევითი კონსულტაციები საერთაშორისო ბიზნის სამართალსა და საბაჟო საკითხებზე.

ტელ: +995 32 532181  
ფაქსი: +995 32 532181  
www.dvnk.ge

## მოკლედ

**დუმანბე.** რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტებმა, ვლადიმირ პუტინმა და რობერტ ქოჩარაიანმა კვირას დუმანბეში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო კონფლიქტის თანამშრომლობის პრაქტიკული საკითხები განიხილეს, მათ შორის - ატომური ენერჯეტიკის სფეროშიც. **კავკას-პრესი**

**თბილისი.** როგორც საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ლალაშვილმა განაცხადა, სამინისტროსა და საინფორმაციო ტექნიკური კომისიის ერთობლივი ექსპერტის დასკვნით, "თბილსრესის" მე-10 ენერგობლოკის აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკულ კომპანია AES-მტკვარს და გერმანულ კომპანია SIEMENS-ს. **კავკას-პრესი**

**მოსკოვი.** კომპანია Keppel FELS-მა გააფორმა კონტრაქტი პლატფორმა TPG 500-ზე კორპუსისა და საცხოვრებელი ბლოკის მშენებლობაზე, რომელიც აზერბაიჯანის სანაპიროზე შპა-დენიზის გაზის სახელაო საბადოსთან დამონტაჟდება. **კავკას-პრესი**

**ბაქო.** კომპანია BP-Azerbaijan-ში აზერბაიჯანის, დაახლოებით, ათასი მოქალაქე მუშაობს. ნელს სამუშაოზე 100-ზე მეტი კადრის მიღებას ვარაუდობენ, - განაცხადა BP-Azerbaijan-ის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა. მისი თქმით, პროექტ "აზერის" მშენებელი მენარდები სამუშაოებში აზერბაიჯანის 4 ათასზე მეტი მოქალაქის ჩართვას აპირებენ. პროგნოზების მიხედვით, 2004 წელს სამუშაოზე მიღებული იქნება აზერბაიჯანის მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა - 6 ათასი ადამიანი, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 5 ათასისა. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის კიდევ 10 ათასი სამუშაო ადგილი გამოიყოფა, საიდანაც 2300 აზერბაიჯანელი იქნება, 2500 - ქართველი და 5 ათასი - თურქი. **კავკას-პრესი**

**თბილისი.** სამხრეთ კავკასიაში იქმნება სამხრეთ კავკასიის ფაქრობისა და ტრანსპორტის კომისია (GEOPRO), რომელიც მონოდეპლუა რეგიონის ქვეყნებს შორის ფაქრობა და სატრანსპორტო კონტაქტები გაამარტავს. **კავკას-პრესი**

**თბილისი.** "მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში ტურიზმისაგან 141 მილიონ ლარი შემოვიდა, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით 6.1 მილიონით მეტია", - განაცხადა საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძემ. მისი ინფორმაციით, აღნიშნული 141 მილიონიდან საქართველოს ბუჯეტში 21 მილიონი ლარი შევიდა. **კავკას-პრესი**

# მთავრობა მავნე რევივს არ იხლის

პირველი კვარტლის გეგმის შესრულება ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების პროგრამის განახლება და ისიც, მხარს დაუჭერდა თუ არა სხვა საქართველოს წინადადებას პარიზის კლუბის წინაშე სავალუტო ვალდების გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით. ასე რომ, მთავრობამ "ყველაფერი ილინა". სულ მალე პირველი კვარტლის გეგმის შესრულებით კმაყოფილი ფინანსთა სამინისტრო სავალუტო ფონდის პარამეტრების გადაჭრებით შესრულებაზეც ალაპარაკდა. ფორმალური მონაცემების მიხედვით, სანერვილო თითქოს მართლაც არაფერია. მაგრამ, სინამდვილეში პირველი კვარტლის პროგნოზი, ძირითადად, ეროვნული ბანკის ტრანზაქციის ხარჯზე შესრულდა. ეს კი შემდეგ კვარტლებში, სამწუხაროდ, აღარ მოხდება. პირველი კვარტლის ბიუჯეტის გეგმის გარდევას როგორც ექსპერტები, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ადრევე წინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, გარდევებზე მეტად ყურადღების ცენტრში პროგნოზის შესასრულებლად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოყენებული მეთოდები - წინასწარი გადახდები და "პრაქტიკები" - აღმოჩნდა.

სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები გეგმის შესასრულებლად გამოყენებულ მეთოდებს კანონიერად მიიჩნევენ და ყოველგვარ დარღვევას უარყოფენ. რაც შეეხება წინასწარ გადახდას და ე.წ. "პრაქტიკებს", მთავრობაში აღნიშნული მეთოდების მიმართაც განსხვავებული დამოკიდებულებაა. აღმასრულებელი ხელისუფლება წინასწარ გადახდებს, ასე თუ ისე, მაინც აღიარებს. ხოლო რაც შეეხება "პრაქტიკას", ფინანსთა სამინისტროში არააუთ მის გამოყენებას, არამედ ამ ცნების არსებობასაც კი უარყოფენ.

"მე არ ვარ ადამიანი, რომელიც დღეს გაჩნდა და უცხად ფინანსთა სამინისტროში მოვიდა. 1998 წლიდან მოყოლებული აქ ვარ. მანამდე საგადასახადოში და ეროვნულ ბანკში ვმუშაობდი. თითქმის ყველა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიუშვავია. მე მასხვებს, რა ხდება წინააღმდეგ და ხდება ახლა. "პრაქტიკები" არ გამოიყენებოდა არც მაშინ და არც ახლა. მე უარყოფ პრაქტიკების ცნების არსებობას. ეს არის ჩემი ბოლო კომენტარი. თუ ვინმე დაიწყებს ამის წინააღმდეგობს მტკიცებას, მზად ვარ გამოვიდე ოპონენტად", - აცხადებს ფინანსთა სამინისტროს მოადგილე ლევან ჩრდილოელი.

"პრაქტიკების" მიმართებაში, ჩრდილოელისგან განსხვავებულ განმარტებებს მივლიან საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უფროსები. საბაჟო სასახურის ხელმძღვანელი ალექო ასლანიკაშვილი აღნიშნავს, რომ "პრაქტიკას" საბაჟოზე საერთოდ არ გამოიყენებენ, მაგრამ ზოგადად ამ ცნების არსებობას იგი მაინც არ უარყოფს. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი კი "პრაქტიკას" სავსებით კანონიერი პროცედურის დამაბინჯებულ გაგებას უწოდებს. "პრაქტიკა" აბსოლუტურად მიღებული



ლევან ჩრდილოელი და ალექო ასლანიკაშვილი

წინააღმდეგობა არა გვაქვს საქმი, რადგან დაავალიანების არსებობის შემთხვევაში, ორგანიზაციისთვის გადაარიცხული თანხიდან, საგადასახადო მას აჭრის კუთვნილ გადასახადს", - აცხადებს ზაუტაშვილი.

ექსპერტები კი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ პირველი კვარტლის გეგმის შესრულება სწორედ წინასწარი გადახდების და "პრაქტიკების" ხარჯზე მოხდა. ამის დამაბინჯებელი ერთ-ერთ არგუმენტად კვარტლის ბოლო დღეს მოზილიზებული თანხის სიდიდესაც ასახელებენ. "იანვარში ბიუჯეტში შემოვიდა 50 მილიონი, ხოლო 31 მარტს ერთ დღეში 42 მილიონი. რა არის ეს 42 მილიონი, თუ არა წინასწარი გადახდა და "პრაქტიკა", - აცხადებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. ფინანსთა სამინისტროს მოადგილე ჩრდილოელი ამ ბრალდებას უარყოფს და აღნიშნულ ფაქტს რამდენიმე არგუმენტით ხსნის. მათ შორის, ეროვნული ბანკის 16-მილიონიან მოვებას ასახელებს. გარდა ამისა, "საგადასახადო კომისიის თანახმად, გადახდილი წინააღმდეგობა და მიმდინარე წლის საპროგნოზო მოგებას შორის განსხვავება პირველ აპრილამდე უნდა გადაიხადოს. ანუ გადასახადის ბოლო ვადა მარტის ბოლოდღეა. მე მაქვს ოცი ორგანიზაციის სია, რომლებმაც წელს მარტში დამატებით 21 მილიონი გადაიხადეს იმდენი, რომ მათ კოდებით ასე უნდევდათ. ეს არ არის არც პრაქტიკა და არც წინასწარი გადახდა, ეს არის მოგების სხვაობა. არიან საერთაშორისო კომპანიები, რომლებსაც უზარმაზარი მოგება გააჩნიათ. ასეთი კომპანიებია "მაგთიკომი", "საქართველოს რკინიგზა", კომერციული ბანკები. მხოლოდ "მაგთიკომი" მარტში შეიძინა მილიონი ლარი გადაიხადა", - აცხადებს ლევან ჩრდილოელი. ფინანსთა სამინისტროს მოადგილე ექსპერტებს ძალიან მარტისგან განსხვავებული ვერაფერს ხედავენ. "სამწუხაროა, რომ ექსპერტებს დაავიწყდათ ძალიან მარტივი რამ. იმის გამო, რომ მთელი სატრანსპორტი ანგარიშების სისტემა, დღეს აკრეფილი თანხა მხოლოდ

მეორე ან მესამე დღეს დაჯდება შემოსავლებში, ერთადერთი დღეა ბოლო დღე, როცა აკრეფილი თანხა იმავე დღეს ჯდება შემოსავლებში, ამას ემატება წინა დღეებში მოზილიზებული თანხებიც", - ასე განმარტა 31 მარტს ბიუჯეტში შესული თანხის სიდიდე ჩრდილოელი.

"პრაქტიკების" განსხვავებით, წინასწარი გადახდების მეთოდთან "მეგობრობას" აღმასრულებელი ხელისუფლება ნაკლები კატეგორიულობით უარყოფს. თუმცა, ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ წინააღმდეგობით შედარებით, ამ მეთოდის მეშვეობით ამოღებული თანხების მოცულობამ საგრძობლად იკლო. ჩრდილოელის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წინასწარი გადახდებით ამოღებულმა თანხამ (ფინანსთა სამინისტრო პრინციპულად არ იყენებს ტერმინს - წინასწარი გადახდები, მის ნაცვლად ზედმეტობას ასხელებს ხოლმე) საგადასახადო დეპარტამენტის კუთხით 103 მილიონი შეადგინა. წინა წლის იმავე პერიოდში კი, ამ მეთოდით მოზილიზებულმა თანხამ 110 მილიონ ლარს მიაღწია. განსხვავებულ რიცხვებსა და განსხვავებულ ტენდენციებზე მეტყველებს კონტროლის პალატის მიერ მომზადებული დისკვნა, რომელიც ვკითხოვლობით, რომ "2002 წელს კვლავ გრძელდებოდა გადახდილთა მიერ ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადების და წარმოქმნილი ზედმეტობების ზრდის ტენდენცია. კერძოდ: 2002 წლის 1 იანვრისათვის რიცხვული ე.წ. ზედმეტობა 101,6 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 2003 წელს 1,6 მლნ ლარით გაიზარდა და 103,2 მლნ ლარს მიაღწია".

ფინანსთა სამინისტროს მოადგილე წინასწარი გადახდების მეთოდს ფორხილად ეკიდება. იგი ცდილობს, ზედმეტობასა და წინასწარ გადახდას შორის ტერმინოლოგიური განსხვავება აღმოაჩინოს. ჩრდილოელის მტკიცებით, წინასწარი გადახდა "მაქსიმუმ ორი კვირით ადრე ხდება", რამაც იგი უწყვეტად ვერაფერს ხედავენ. "საუბრაში, ჩრდილოელისგან განსხვავებით, ყოველგვარი ტერმინოლოგიური გაუგებრობის აღმოჩენის გარეშე, ამ მეთოდის "პოპულარიზაცია" პირდაპირ აღიარებს.

თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ წინასწარი გადახდების წილი ძალიან მცირეა (პირველ კვარტალში 200 ათასი ლარი) და ეს მთლიანობაში საგადასახადო ბალანსს არ არღვევს. ასე რომ, ზაუტაშვილი საქართველოში კარგად აპრობირებული წინასწარი გადახდის მეთოდს, მთლიანად გადახდილების ნებასურვილს "აპრალებს". "გადამხდილებმა უკვე ისე კარგად იციან კოდები, რამდენიც არ უნდა სთხოვონ მათ სადაგადასახადო სამსახურმა გადასახადის წინასწარ გადახდა, თუ გადახდილს სურვილი არ გააჩნია, ამის ის არ განასწორცილებს. საბედნიეროდ, არიან ისეთი გადახდილები, რომლებიც წინასწარ იხიან გადასახადს", - განაცხადა საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელმა.

წინასწარი გადასახადების არაკანონიერებას ასლანიკაშვილიც კატეგორიულად უარყოფს. ჩრდილოელის მსგავსად, ისიც ტერმინოლოგიურ გაუგებრობაზე საუბრობს. მისი თქმით, საბაჟოზე წინასწარი გადახდის მეთოდად ე.წ. "წინასწარი დეკლარაცია" მიჩნეული, რომელიც აბსოლუტურად კანონიერია. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიები შეღავათიან რეჟიმში არიან მოქცეულნი, რაც იმპორტიორებს ტვირთის განაყვებისას წინასწარ გადახდის საშუალებას აძლევს. წინასწარი დეკლარაციაზე უარყოფს. ჩრდილოელი ამოღებული თანხის ვადაში უნდა განაბაჟოს. ასლანიკაშვილის თქმით, ეს კანონიერია და ამიტომ ამ მეთოდს საბაჟო "მეორე კვარტალშიც გამოიყენებს და მესამეშიც". წინასწარი გადახდების მეთოდის მეორე კვარტალში გამოყენებას არც საგადასახადოს უფროსი უარყოფს. ამ პრაქტიკის გაგვიტყობს კი, სავსებით კანონიერად და გარდაუვალ პროცესად მიიჩნევს. წინასწარი გადახდების გამოყენების პრაქტიკის მომავალში განვითარებას არც ფინანსთა სამინისტროს მოადგილე გამოიხატავს, თუმცა, საგადასახადოსა და საბაჟოს უფროსებისგან განსხვავებით, ამ მეთოდის კანონიერების მტკიცებისგან თავს იკავებს და პირობას დებს, რომ მთავრობამ ამ მეთოდით თანხების მოზილიზებას სულ უფრო და უფრო მუშაობის და წინასწარი გადახდის მეთოდის გამოყენებას ყოველთვიურად კლების ტენდენციით დახასიათებდა.

წინასწარი გადახდების ერთ-ერთ უარყოფით შედეგად თვის ბოლოს ლარის კურსის მერყეობასაც ასახელებენ. ექსპერტების განმარტებით, თვის მეორე ნახევარში იწყება საბანკო სექტორიდან სესხების აღება ბიუჯეტის შემოსავლების შესასრულებლად, შესაბამისად, მცირდება ლარის მასა და წნდება დამატებითი მოთხოვნა, ამჯერად უკვე - აშშ დოლარზე და სხვა ვალუტაზე. ამის შედეგად ეკონომიკის დასაფინანსებლად საბანკო სექტორში თავისუფალი თანხები აღარ რჩება. საბოლოო ჯამში, ექსპერტები წინასწარი გადახდებისა და "პრაქტიკების" გამოყენების ტენდენციის გაუმჯობესების შემთხვევაში, ბიუჯეტის მეშვეობით საგადასახადო ვალდებულებების "მომტანი ხარჯების" ამონუშვას უწინასწარმეტყველებენ.

## მეზიქი

### MICROFINANCE BANK OF GEORGIA

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

## რევივი საკრედიტო ბანკი

### საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

**29%** IMI (საქართველოს მიკრო ინვესტიციები, გეზანია)

**20%** KFW (გეზანის განვითარების სახელმწიფო ბანკი)

**16%** IFC (საქართველოს საერთაშორისო ინვესტიციები, აშშ)

**15%** COMMERZBANK (კომერცბანკი, გეზანია)

**10%** FMO (ჰოლანდიის განვითარების ბანკი)

**10%** EBRD (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ევრო ბიუჯეტი)

[www.mbg.com.ge](http://www.mbg.com.ge)

#### ფილიალების ქსელი

<p><b>თბილისი ბანკი</b> თბილისი 380133 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ბანკი</b> თბილისი 380119 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ბანკი</b> თბილისი 380133 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>სამხრეთი ფილიალი</b> თბილისი 380119 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>სამხრეთი ბანკი</b> თბილისი 380119 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380006 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380007 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380007 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>
<p><b>ბათუმი ფილიალი</b> ბათუმი 380000 ტელ: (995 80 999) 144-80 ფაქსი: (995 80 999) 144-80 e-mail: batumi@mbg.com.ge</p>	<p><b>ბათუმი ბანკი</b> ბათუმი 380000 ტელ: (995 80 999) 144-80 ფაქსი: (995 80 999) 144-80 e-mail: batumi@mbg.com.ge</p>	<p><b>მთიანეთი ბანკი</b> მთიანეთი 380000 ტელ: (995 250) 80-437 ფაქსი: (995 250) 80-437 e-mail: mtianeti@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380000 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ბანკი</b> თბილისი 380000 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380000 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380000 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>	<p><b>თბილისი ფილიალი</b> თბილისი 380000 ტელ: (995 32) 532181 ფაქსი: (995 32) 532181 e-mail: tbilisi@mbg.com.ge</p>







"საოტბანო ტოტო"-ს 26 აპრილის №5 ბათუბავსის სვრილი

Table with 4 columns: აპრილი, ბათუბავსი, საბავსატი, and სვრილი. It contains a grid of numbers representing lottery results for various categories.







# ფოქს კილსის თასზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები საქართველოში!

იტალია, ბრაზილია, არგენტინა, საქართველო, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი... ფოქს კილსის თასზე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს მსოფლიოს 20-მდე ქვეყანა. გოგონებისა და გიჩების გაგარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ჰოლანდიაში. ტურნირში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ მოყვარულ გუნდებს (ფეხბურთის სკოლებისა და კლუბების გუნდები რეგისტრაციაზე არ მიიღებიან). გუნდი უნდა დაკომპლექტდეს 1990 წლის 1 აგვისტოს და შემდეგ დაგადებული 10 მოთამაშისგან, გუნდს უნდა ჰყავდეს მწვრთნელი

საქართველო  
TV  
მხრისი



XII



**24** სპორტი



- მსოფლიო ჩემპიონატი
- 
- 
- 
- 
- 
- 
- RTV "PARVANA"
- 

# FOX KIDS™

და



## Coca-Cola ჰოპპელა



გეგელი  
გეგელი



გუნდების რეგისტრაცია რეგიონებში:

- |  |  |  |   |   |  |
|--|--|--|---|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>თბილისი</li> <li>თელავი</li> <li>ლაგოდეხი</li> <li>ზაზა</li> <li>ბორჯომი</li> <li>შუკურა</li> <li>ფოთი</li> <li>ზაზა</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ტელეკომპანია იერო</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>ლაგოდეხის ტელეკომპანია</li> <li>ტელეკომპანია დია</li> <li>სეიფიძე</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>სამედიცინო კომპანია ჰეკინე ტელე</li> <li>სამედიცინო კომპანია ჰეკინე ტელე</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>გორი</li> <li>მარტვილი</li> <li>ჭანდლი</li> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> <li>ღმრთისმშობლის</li> <li>მთიანეთი</li> <li>ახალციხე</li> <li>ბორჯომი</li> <li>საჩხერა</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>ტელეკომპანია სეფიძე</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>ტელეკომპანია იერო</li> <li>ტელეკომპანია კოტეხი</li> <li>ტელეკომპანია დიმიტრი</li> <li>ტელეკომპანია ბორჯომი</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>სენაკი</li> <li>წიფისი</li> <li>ქუთაისი</li> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> <li>ზაზა</li> <li>სამცხე-ჯავახეთი</li> <li>ქუთაისი</li> <li>ბორჯომი</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ტელეკომპანია იერო</li> <li>ტელეკომპანია დია</li> <li>ტელეკომპანია ქუთაისი</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>ტელეკომპანია სეფიძე</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> <li>ტელეკომპანია იანოშვილი</li> </ul> |
|--|--|--|---|---|--|

რეგისტრაცია თბილისში

თბილისის მერიის სპორტისა და გურამბეგოვის საქალაქო სამსახური, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6. ტელ : 955805  
რეგისტრაციის გოლო ვადა 29 აპრილი



www.24hours.ge

24

B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nadaria@24hours.ge



ბია, რომელიც ასევე 21 აპრილს გამოქვეყნდა. მასალაში მოყვანილია რამდენიმე თვალსაზრისი: "საქართველოში უფრო კარგი კანდიდატურა რექტორისა, ვიდრე როინ მეტრეველია, არ არსებობს... როინ მეტრეველი იდელი პატიოტი, დიდი ქართველი, შესანიშნავი მეცნიერი და ორგანიზატორიც არის. ის ფაქტი, რომ როინ მეტრეველი მხოლოდ ერთადერთი კანდიდატურაა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ არჩევნების სახელი დემოკრატიის საწინააღმდეგო რაიმე ხდება. რამდენიმე უღირსი კანდიდატურის ყოფას ერთი ღირსეულის ყოფასთან შედარება (რომან შენგელია, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი). "უნივერსიტეტს როინ მეტრეველზე უკეთესი კანდიდატურა რექტორის თანამდებობაზე არ ჰყავს" (ირაკლი შვაბაძე, საერთაშორისო ურთიე-

მინც რა ხარისხი აქვს ამ "ულტერნატივობას"? ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, გიგი თევზაძე ამ საკითხს ასე განმარტავს: "ახლანდელი რექტორი არანაირ უნიკალურ მეცნიერს არ წარმოადგენს. ის არის ჩვეულებრივი ბიუროკრატი და ის მოსაზრება, რომ როინ მეტრეველის გარდა რექტორობის კანდიდატი არ არსებობს, მცდარია. ამ ბიუროკრატიულ სისტემაში ყველა შეიძლება მართავედეს უნივერსიტეტს". აქ თითქოსდა წინააღმდეგობაა: რატომ ამტკიცებენ როინ მეტრეველის ერთადერთობას ის ადამიანები, რომლებსაც მასზე უკეთესად თუ არა, მასავით მაინც შეუძლიათ სისტემის მართვა? — ეს წინააღმდეგობა ადვილად იხსნება: სისტემა წინამდებელი უნივერსიტეტი არაა, მას მხოლოდ ჰქვია ასე.

საქციელი მეორეს რომ არ მოეწონოს. მართლაც, საინტერესო საკითხია: რატომ სდუმან პოლიტიკოსები? რატომბა განათლებისა და კულტურის თემა ტაბუირებული? ამ მდგომარეობას, როგორც ვფიქრობ, სამი მიზეზი აქვს: 1. პროფესიული. განათლების სისტემასა და კულტურის მდგომარეობაზე საუბარი გარკვეულ მომზადებასა და განვითარების დონეს მოითხოვს. რაზე საუბრობენ ჩვენი პოლიტიკოსები? რამდენად ხშირად ჩანს მათ სიტყვებში საგნის ღრმა ანალიზი, საკითხის თეორიული ფლობა, ისეთი პრაქტიკული გადაწყვეტილებების გამოტანის უნარი, რომლებიც პირდაპირ არაა დაკავშირებული მათ შორად კარიერასთან. მართალინ არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს არასაღდეს ხდება. მაგალითად, სულ ახლახან ამგვარი მცდელობა

რსიტეტის ოცდაათათასიანი მომსტერი, რომლის მრავალრიცხოვანა მნიშვნელოვნად იზრდება, თუ სტუდენტთა და თანამშრომელთა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს გაეითვალისწინებთ, ერთობ სასურველი ლუკმაა ხმათა ერთობლიობაში. ჰოდა, ამ ლუკის გემო კი არა, ხელმისაწვდომობაა მთავარი. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ ლუკა ერთიანი იყოს. სახეყნია, რომ ეს პრაგმატული საფუძველი ეროვნული ერთიანობის თუ რაღაც ამგვარის შალითაშია გახვეული და მას საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლებიც ამარტებენ.

რთალია, გამორჩა, რომ, მაგალითად, ყურძის მოსავლით ეს უკანასკნელი ათჯერ კი არა, უსასრულოდ ჩამორჩებოდა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ თუ თავად ვორონცოვის საოპერო სიმპათიები, ასე თუ ისე, საქართველოსათვის შემთხვევითობა იყო, 1640 წელს დაარსებული ჰელსინგფორსის უნივერსიტეტი ორგანულ კომპონენტს წარმოადგენდა ფინური კულტურის ამწეობისა და საერთო სკანდინავურ კონტექსტში მისი ინტეგრაციისთვის. რა თქმა უნდა, ასეთი საფუძველი ოპერასა და დრამაზე მეტად ქმედითი აღმოჩნდა "კომუნისტობის" წინააღმდეგ. აი, მეორე ვერილი კი სასწაულები ხდება. გიორგი მარგველაშვილი მადლობას უხდის გიორგი ვაჩეჩილაძეს ამ უკანასკნელის მიერ გადადგმული ერთი კვირის წინ გახმაურებული და ახლა კი თითქმის მივიწყებული მოხვედრისათვის. წერილის უმეტეს ნაწილში ავტორი ჩივის: "ჩვენ ვგასწავლეს ანგარება... ჩვენ ვგასწავლეს, რომ ანგარება ნორმაა, რომ "გათვლა" უფრო ფასეულია, ვიდრე პრინციპები; რომ "ასე აჯობებს" უფრო ფასეულია, ვიდრე "ასე მშამს". ჩვენ ვგასწავლეს, რომ ჯერ მოგება და მერე იდეები". ეპ, ნეტა მართლაც მასე იყო! მარგველაშვილს რომ დაეუფერეთ, საქართველო პრაგმატიზმის კლასიკური ქვეყანა ყოფილა. სხვა თუ არაფერი, გათვლისა და "პრინციპების" დაპირისპირება გაუგებარია ჩემთვის, რადგან გათვლაც ხომ პრინციპია და პრაგმატიზმიც ხომ იდეა!



ნოდარ ლადარიძე ამ რამდენიმე დღის წინ, როცა უნივერსიტეტი მესამე ვადით უკვე დადგინდა ძველი რექტორის კანდიდატურა, კვლავ დამირეკა "თეთრი ტაძრის" ერთ-ერთმა "დიაკანმა" და მითხრა, როინის ბრწყინვალე გამარჯვებას გილოცავო. სავანგამო ის იყო, რომ ამ წინადადებაში ყველაზე მახვილი ყურადღება კი ვერავითარ ნიშნის მოგებას ვერ შეამჩნევდა. დიახ, ჩვენი სინამდვილე იმდენად განხრულია ამგვარი შედეგის მისაღებად, რომ მას გამარჯვების სიხარული ან დამარცხების ტკიფილიც კი არ ახლავს. შხარებიტი კი ერთმანეთს დაპირისპირებულია კი არა, უფრო ერთმანეთს აცდენილად ჩანან.

რითაბათა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის დეკანი. "ის ექსპანცივიტი, რომლებსაც რექტორი სტუდენტებისათვის აწვობს, მათ შორის არსებული განხეთქილების აღმოფხვრას უწყობს ხელს და აახლოებს ახალგაზრდებს. უნივერსიტეტში არ არის არც ერთი სტუდენტი, რომლის გონიერულს პროექტზე რექტორს უარი ეთქვას" (ნატო მახვილელი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარე).

სისტემის შიგნით ურთიერთობები სულ სხვა პრინციპებზეა აგებული და ამ პრინციპების თანახმად როინ მეტრეველი, მართლაც, უალტერნატივოა. განა ამასვე არ ამტკიცებს 23 აპრილს გამოქვეყნებული ინტერვიო ლევან ბერძენიშვილიან (მაია ჭალავანიძე, ვერ მოვედრეთ ამ სისტემას დასაჭერად ქალაქის მარტო ერთ რაიონში თვეში 10 ათასი ლარი იხარჯება. ჩვენ უსასყიდლოდ დავიჭერთ ძალეებს და კატებს, ასე დაზოგილი ფულით კი ამ საქმის მოგვარება დავიჭერო" (23 აპრილი, მაცა ჯაიანი, ძრწუდელი, ძალეობა, კატებო და თავებო - ლეონორისტები მოდიან!).

მაგრამ პოლიტიკოსთა საქმეში ჩახედვით ირინა საომილო-ჭანტურიანი: "რუსეთის სპეცსასახურების მიერ იგეგმება ოპერაცია პირიბისი სახელით "კმარა". საამისოდ მიმდინარეობს მოლაპარაკება პოლიტიკურ ჯგუფებთან, რომლებიც უნდა უზრუნველყონ ქმის აქციები, დესტაბილიზაცია. მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება ახალგაზრდებს. კონკრეტული პირები საამისოდ მოსამზადებლად გაიგზავნიან იუგოსლავიაში, გერმანიაში და ამერიკაში. რა თქმა უნდა, ღია, ოფიციალურ სწავლებებზე არ ესაუბრობ. ტელევიზიის ენერჯი არხი სპეციალურად ამას მოეწყობება" (22 აპრილი, ლენა მიქაძე, საიდან გაჩნდა დესტაბილიზაციის აზრი — გარედან თუ შიგნიდან?). რა ძველია ეს ყველაფერი! ნუთუ არ იცის ქალბატონმა საომილო-ჭანტურიანი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უკვე შეუდგა თბილისი-ვაშინგტონის გვირაბის თხრას? მამ რატომ სდუმს?

რული თავი დაანებოსო. ასეთი განცხადება არის უზნობა". მართლაც, წამდაუნუმ ისმის ხმები, რომ სტუდენტთა პოლიტიზირება და ურთიერთდაპირისპირება დაუშვებელია. თითქოსდა თვრამეტი წლის ასაკიდან გარანტირებული საარჩევნო უფლება თავისთავად არ გულისხმობს პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას! სინამდვილეში მხოლოდ იმიტომბა დაუშვებელია, რომ "არაპოლიტიზირებული" და "ერთიანი" მასის მართვა, მისი მხარდაჭერის დამსახურება გაეცლებოთ უფრო ადვილია. საარჩევნო ურნებთან რომ უმეცარიანი და მოუზადებელნი მივლენ, არავის ანაღვლებს.

აი, პრაგმატიზმის ამ არარსებულ საფრთხობლას დაპირისპირება თურმე "უცნობი", რომელმაც "არ დასვა ყველაზე მნიშვნელოვანი" "ქართული" შეკითხვა — "რა დამარჩება მე?", "მე არა". არაფერი არ მოიგო იმ გაბედული საქციელიდან, რომელიც ჩაიდინა". საინტერესოა, მინც რაში მდგომარეობს ამ საქციელის გაბედულება? თუმცა, ერთი რამ კი ამკარაა და ძნელია არ დავეთანხმით ავტორს: "უცნობს" პრესკონფერენციამ გაცილებით ნაკლები მისცა, ვიდრე რომელიმე კლიმა. მარგველაშვილი გვარწმუნებს, რომ "უცნობს" შეესაბამება ინტელისური ტერმინი statesman (სახოვად მოღვაწე), რომელიც "ინხაზი" და ისეთი პოლიტიკური ფიგურების იმპარტი, რომელიც ქვეყნის საკითხილად მოგვანებებს და მზად არიან საკუთარი პოპულარობა, კეთილდღეობა, კარიერა და ვინცაც სიცოცხლე შესწარიონ ეროვნულ ინტერესებს". მართალია, ერთი რამ, ვერ ვხვდები, კონკრეტულად რა გასწარა და რით ვარისკა "უცნობი", მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პოპულარობის, კეთილდღეობის, კარიერის დათმობა ნებისმიერი საზოგადოებრივებისათვის საკუთარი დანიშნულებისა და მონაღების აღსრულებაზე უარს ნიშნავს...

რომბათის, 21 აპრილს "24 საათმა" გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიმართვა პროფესორ-მასწავლებლებს. რამდენიმე დღით ადრე კი გამოქვეყნებული იყო პროფესორ-მასწავლებლებს ერთ-ერთი წარმომადგენლის, რევაზ ყორძანიას წერილი "24 საათის" მთავარი რედაქტორისადმი. ამ უკანასკნელს უკვე შეეხებ ჩვენ წინა პუბლიკაციაში. დღეს სულ სხვა შეკითხვა დგას ჩემს წინაშე: შეიძლება თუ არა ამ ორ ტექსტს ერთმანეთისად და დაპირისპირებული ერთმანეთი?

ეს გამოინათქვამები, მათი შინაარსისგან დამოუკიდებლად, არც ეყრდნობა და არც მიმართავს რაციონალურ გონებას. მაგალითად, გაუგებარია, რას ნიშნავს ცნებები "დიდი ქართველი" და "დიდი პატრიოტი". ქართული ლიტერატურის გაკვეთილებით, ეგრეთ ნოდებული "თემბითა" და "სახეპირობითი" განზიდილი ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ისევე რეაგირებს ამ სიტყვებზე, როგორც პავლიკის ცნობილი ძეგლი — ზარის რეკვაზე. პატრიოტიზმის პირობითი რეგულაციებით მანიპულირება, სამეფაროდ, შორს გასცდა ტრადიციული ქართული სუფრის წესებს და ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს მოიცავს. ასევე გაუგებარია, რატომ არ უნდა მოანჯოს ნებისმიერმა სხვა რექტორმა სტუდენტური ექსპანდიციები, ან რატომ უნდა უარყოს რომელიმე გონიერული პროექტი — ნუთუ ეს როინ მეტრეველის განსაკუთრებული პირადი თვისებების შედეგია? ან რომელ განხეთქილებაზეა საუბარი, რომელიც თითქოსდა სტუდენტური ექსპანდიციების საშუალებით უნდა აღმოიფხვრეს? — თუ ამ განხეთქილებას საფუძვლად უკვე ნახსენები დაპირისპირება თუ აცდენს უღვეს, მაშინ გამოდის, რომ როინ მეტრეველი თურმე იმიტომ უნდა აირჩიონ, რომ საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველა გზას მიმართავს. გარდა ამისა, სამივე ეს გამოინათქვამი ამტკიცებს, რომ დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის თანამდებობაზე როინ მეტრეველზე უკეთესი კი არა, თუნდაც მისი თანასწარი კანდიდატურა არ არსებობს. ამ დებულების მხარდაჭერი არგუმენტები ახლახან განვიხილეთ, მის პასუხად კი ერთ ადგილს მოვიყვანე სტუდენტთა მიმართვიდან:

ვეთანხმები ლევან ბერძენიშვილს და შემიძლია ნაბიჯის გადადგმისკენ მოგინოდე. თუმცა, მე პირველი არა ვარ: ხომ გასოვი, რა უთხრა ერთხელ ჩვენს, ასე ვთქვათ, შორს გასცდა ტრადიციული სუფრის წესებს? — "ამ შემთხვევაში, მე უთქვნილად შევძლებ ნაბიჯს ბოლომდე მივყვანას". ჰოდა, ბატონო, უნივერსიტეტი დასარსებულა! თუ ჩვენს სახელგანთხრის თა მიერ დატოვებული და ნაანდერძე სულისკვეთება ცოცხალია, ის არ უნდა იყოს დაკავშირებული რაიმე ადგილთან ან მატერიალურ საგნებთან — თუნდაც "თეთრი ტაძართან", რომელიც "საუთუ მოფერებას საჭიროებს". თუ ჩვენ, მართლაც, ღირსნი ვართ, ეს სულისკვეთება აუცილებლად თავს იჩენს და ხელახლა აყვავდება მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხალხის უმრავლესობა უმადელი განათლებისადმი მანიკიერი მიდრეკილება გამოუშუშავდა.

ამასობაში კი გიგი თევზაძემ კიდევ ერთი საგულისხმო რამ განაცხადა: "ჩვენი პოლიტიკოსები კულტურის და განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბარს თავს არიდებენ, რადგან ჩვენს საზოგადოებაში ეს თემები ტაბუდადებულია. ალბათ, იგი პოლიტიკოსების მხრიდან უნივერსიტეტში არსებული რეჟიმისადმი გულგრილობა გულისხმობდა. აქ, მართლაც, საინტერესო სიტუაცია გვაქვს: მეტრეველის კრიტიკით ჯერ არც ერთი პოლიტიკოსი არ გამოხუდა". ეს არის ამონარიდი მერაბ მჭედველის 23 აპრილს გამოქვეყნებული მასალიდან ცეკას ერთი მდივნის

პირველი წერილი, რომელშიც ბევრი საგულისხმო მიგნებაცაა, გადარჩენის უნივერსალურ საშუალებას "კომუნისტობას" თამაშის შეწყვეტაში ხედვის. მოვრჩეთ კომუნისტობას! — ასეთი მისი უტოპიური პათოსი. ვიცხოვროთ წმინდად, ვიყოთ პატიოსნები, შევიყვართ მოყვასი... თუ რა ფასი აქვს ღრმად ჩამჯდარი მენცრობისათვის ამგვარ დირექტივებს, ამის ასახსნლად კითხვების ყურადღებას არ დავტყობთ. მაგრამ ერთი ფრაგმენტი კი უნდა მოვიყვანო ამ წერილიდან: "შეადარეთ ფინეთი და საქართველო შეიკრე საუკუნის დასაწყისში. ორივე რუსეთის იმპერიაში იყო, საქართველო ათჯერ მაინც წინ იყო ფინეთზე ეკონომიკურად (ჩაიხედეთ მონაცემებში), კულტურულად (შეადარეთ თუნდაც ოპერისა და თეატრების შენობები) და სხვა კომპონენტში". საინტერესოა, რომ ავტორმა ასე მოკლედ და სხარტად მოახერხა ორი კავკასიური გუბერნიის შედარება ფინეთის სამთავროსთან (მა-

გასაგებია, რატომ არ აკრიტიკებენ ჩვენი კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი პოლიტიკოსები როინ მეტრეველს: მომზადებულია და განვითარებული აუდიტორიის წინაშე ცუდილიც და მართლაც უფრო ძნელი სათქმელია, უფრო დიდ მომზადებასა და შრომას მოითხოვს. ყალბი პათოსითა და დავით აღმაშენებლისა თუ თევდორე მღვდლის სახელთა უზიდან ამოძვრენით ვერ გახვალ ფინს!

რა თქმა უნდა, არა: ნურავინ იფიქრებს, თითქოს უნივერსიტეტის მოწყობის ორი კონცეფცია ვერძეის ერთმანეთს. უზრალოდ, არიან ადამიანები, რომლებსაც უნივერსიტეტში სწავლა და მუშაობა სურთ და სხვები, რომლებსაც სწავლით, რომ ბოლო ათი თუ თორმეტი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ფინანსურ პირამიდას თუ ურთიერთდახმარების საღაროს სახელად უნივერსიტეტი ერქვას. ერთი და იგივე სიტყვის ქვეშ ადამიანთა ეს ორი ჯგუფი სულ სხვადასხვა რეალობას გულისხმობს, ასე რომ მათ შორის მიმდინარე ურთიერთობას დისკუსიას ვერ ვხსნივით. უზრალოდ, სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთი ჯგუფი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებას ეხსრავვის.

თუმცა, კი, ერთი მიზეზი კიდევ დავტყობთ. ყველა პოლიტიკოსის თითო-ორილი ნათესავი მინც ცყოლება მოსახეობი უნივერსიტეტში და რატომ გაიფუქოს ურთიერთობა მის ხელმძღვანელობასთან, მით უმეტეს, რომ უმრავლესად "რადიო 101"-ის მიერ აღწერილი მდგომარეობა მუდამდგება "ზიფი მყავს უმადელსმი მოსახეობი, მაგრამ დღეობა".

საკვირველია, პოლიტიკოსებს მინც აქეთ ფული. რატომ უცხოებთი არ აცხავნიან მფილებს ნორმალური განათლების მისაღებად? ამ პასუხზე ისევე ჩვენი აკადემიის სწავლულ ექსპერტთა საბჭოში გამცეს პასუხი: "ვატყავნიმ დაცულ სადელტოროს ხელახალი დაცვის გარეშე ვერ ვცნობთ, რადგან ისინიც არ ცცნობენ ჩვენს სადელტორებს". რას იზამ, არაა ჩვენი საზოგადოება ხარისხზე ორიენტირებული... ამ სამი მიზეზიდან ნეტა რომელია ყველაზე მთავარი და განმსაზღვრელი? — ეს შეკითხვა, მართლაც, იმსახურებს ღრმად და ამომწურავ პასუხს. ჯერჯერობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: როგორც ეტყობა, მესამე მოტივაცია ყველაზე მეტადაა გაცნობიერებული.

ერთი სიტყვით, ქართველი პოლიტიკოსების კომპეტენციის საკითხი ვერც კიდევ დასამუშავებელია და სასურველიც იქნება, თუ ამ საქმეს "24 საათიც" შეუწყობს ხელს. განათლებისა და კულტურის თემის რაც შეეხება, მასზე სათანადო დონის საუბარი იმდენად აჭარბებს ამ კომპეტენციას, რომ აქაც, ისევე როგორც ენერგეტკის სფეროში, ისინი შექმულ გრანტებსა და სხვა მსგავს ბრალდებებზე მალა ვერ დამდგარან. განსხვავება კი ისაა, რომ თუ უშუქობა და უგაზობა უკვე ყზადღებული სოციალური პრობლემბაა, ჩვენი განათლების სისტემის უსუსურობა სულაც არაა ამკარად უარყოფითი მოვლენა. აქ პოლიტიკოსთა დუმობის მიერ მიზეზთან გვაქვს საქმე...

2. პრაგმატული. არც ერთ პოლიტიკოსს არ ახლავს ხელს ტყვიანი და დავირეგებული ელექტორატი. მეორე მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცდაათათასიანი მომსტერი, რომლის მრავალრიცხოვანა მნიშვნელოვნად იზრდება, თუ სტუდენტთა და თანამშრომელთა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს გაეითვალისწინებთ, ერთობ სასურველი ლუკმაა ხმათა ერთობლიობაში. ჰოდა, ამ ლუკის გემო კი არა, ხელმისაწვდომობაა მთავარი. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ ლუკა ერთიანი იყოს. სახეყნია, რომ ეს პრაგმატული საფუძველი ეროვნული ერთიანობის თუ რაღაც ამგვარის შალითაშია გახვეული და მას საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლებიც ამარტებენ.









# შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ ბარკვებით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაანთავსოს თუ არა მონაცემთა ბაზაში "ხალხის პირისპირ". თქვენი შეტყობინებები, დაგისაზღვრებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკედის შევსებით თქვენ მისამართით შიშს "ხალხის პირისპირ" ნაშაბას და აიროგზავს.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:  
  
სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",  
ტელევიზორიანა "ხალხის პირისპირ",  
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონტაქტისათვის ტელევიზორიანისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკედის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:  
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:  
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომერი:

პროფესია:

ასაკი:


საშუალო ადგილი

დასმარა კატეგორია: (მითითებულ კატეგორიას, რომელშიც აკრავთ ბარკვებით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნა-  
პირისპირი. გვალთხოვ, საშხაბოთო კლასი "არსებულ" ან ვერტიკალს შევსებთ, ან ნა-ინი ფლავის მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენი ხარტ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გინოგზაურობთ საბარტოვლს ბარკვით და სად?)

არჩევიანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად ნახვილოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დსკვენდის დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევიანი რომ გქონდეთ, სად ნახვილოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგიქლოთ მხოლოდ ერთი რაბის შეცვლა საკუთარ ბარკვენობას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწარალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიწანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგიქლოთ მხოლოდ ერთი ნატვისი ასრულვა, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიან ან გაგიკეთებენ თუ არა ისეთი რაბ, რითაც აგაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს უგაგხართ ყველზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაბი მეტასახელი? კონარტულად რა?

ფილმი რომ გადაქლოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა აგვლავთ?)

გაქვთ თუ არა ურვეულო ნიჭი? (გვალთხოვ, შეგიძლიათ თუ არა სტენი ბოქოვების "მიწარის სწავლა" შესრულვა, ან აპირნოლთი ბარკვითოლუ ლიტანინის გაქვთ?)

ყველზე უნარტული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიილოთ მოწარელოვა ჩვენს თავაში?

ურვეულო ან სანტმარსო რაბ თუ გადაგწინათ თავს? კერძოდ რა?

ყველზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?



ფეხბურთი

კაპაეფილი შუბაკი

ნაკრების მწვრთნელი თავის კოზირს არ აჩენს



ივო შუბაკის პრესკონფერენციისას

შუბაკი განსაკუთრებით კალაძის ჩამოსვლამ გაახარა. მისი თქმით, კახის გუნდში ყოფნა ყველასთვის დიდი სტიმულია და თავდაჯერებას მატებს.

შუბაკი განწყობასა და ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში თავის ყველა ფეხბურთელს "ხუთიანს" უწერს, მიანია, რომ ისინი კარგად არიან მომზადებული ფიზიკურადაც, ხოლო თუ ვინმეს ფიზიკური კონდიციები მაინც უკეთესობას მოითხოვს, ამის კომპენსირება მონდომებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე მოხდება.

შუბაკი, გასაგები მიზეზების გამო, არ საუბრობს იმ ტაქტიკაზე, რომელსაც 30-ში გაზაფხის გუნდის წინააღმდეგ გამოიყენებს. მოგესხენებაზე მის ჩამოყვანის აზრი არა აქვს. სათადარიგო სიიდან ვინმეს დამატებასაც არ ვაპირებ, რადგან შეკრებულ გამოძახებული ყველა დანარჩენი ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს და მე კმაყოფილი ვარ", - აღნიშნა მწვრთნელმა.

იც ამ თამაშში ბოლომდე დაიხარჯება, ამასთან, ნაკლებ შეცდომებს დაუშვებს, გაიმარჯვებს კიდევ", - არც შუბაკის ეს პასუხია მდიდარი კონკრეტული.

დღეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, წესით, კიდევ უფრო სიტყვათუხუცესი იქნება, რადგან მის პრესკონფერენციას გაზაფხის ემსობებოც დაესწრებოდა.

პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება გაავრცელა ეროვნული ნაკრების პრესატაშემ, უეფა-ს მედია-ოფიცირმა მამუკა კვარაცხელიამ. მისი თქმით, თამაშზე შეუშვებენ მხოლოდ იმ მაყურებლებს, რომლებსაც შენახული აქვთ 2002 წლის 12 ოქტომბრის მატჩის განმარტული ბილეთები. სწორედ ამ ბილეთის წარმომდგენს შეუშვებენ სტადიონზე. შინაგან საქმეთა სამინისტრო მეცრად გააკონტროლებს ამ პროცესს. როგორც აღმოჩნდა, იმ შეხვედრაზე გაიყვანა 13 ათასი ბილეთი. თუმცა, კვარაცხელიას თქმით, ბევრმა 12 ოქტომბერსვე გადაადგო ბილეთი და, სავარაუდოა, რომ 30 აპრილს სტადიონზე მხოლოდ 4-5 ათასი გულშემატკივარი შეძლებს შესვლას.

მაყურებლებს მხოლოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ ტრიბუნებზე შეუშვებენ. სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნები პოლიციის მიერ იქნება იზოლირებული.

ჯერჯერობით, რუსეთის მხრიდან ამ შეხვედრაზე გულშემატკივრების დასწრებაზე მოთხოვნა არაა. წარმომადგენელი, თუმცა, თუ რუსი გულშემატკივრები თამაშზე დასწრებას ისურვებენ, მათ პრობლემა არ შეექმნება, ირწმუნება ფედერაციის წარმომადგენელი.

ჰიტსვალდი მაკაის იხვეწა გერმანიის ჩემპიონის - მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელმა, ოტმარ შიტცფელდმა ესპანეთის "დეპორტივოს" პოლანდიელი ფორვარდის, რიო მაკაის შეძენის სურვილი გამოთქვა. პოლანდიელი წლევიანდელ სეზონს ჩინებულად ატარებს და "ოქროს ბუცის" კანდიდატია. "მაკაი ძალიან კარგი ფეხბურთელია და, თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, აუცილებლად ვიყიდით", - Kicker-თან საუბარში აღნიშნა შიტცფელდმა.

ვარაუდის საფუძველს, რომ მომავალი სეზონიდან მაკაი "ბაიერნში" გადაბარდგება, ისიც იძლევა, რომ პოლანდიელი უარს ამბობს "დეპორტივოსთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე. მოქმედ ხელშეკრულებას კი 2005 წლის მაისის ბოლოს გასდის ვადა. ასეთი კონტრაქტის მიუხედავად, მიუნხენელმა უკვე ოფიციალურად გამოთქვეს მაკაის შეძენის სურვილი. ერთადერთი, ვინც, შესაძლოა, პოლანდიელს გერმანიაში გადასვლაში ხელი შეუშალოს, ფრანც ბეკენბაუერიცა. მას ღრმად სწამს, რომ კლუბს, რომელშიც თამაშობს ჯოვანი ელბერი, რიო მაკაი არ სჭირდება. სულ სხვა აზრისაა ოტმარ შიტცფელდი და თუ მაკაის ბავარიულ კლუბში გადასვლა მოხერხდება, მთლიანად მისი დამსახურება იქნება.

არაყალბას თამაში მოუდით ერაყის ნაკრების მწვრთნელმა, გერმანელმა ბერნდ შტანგემ თხოვნილი მიმართა აზიის ფეხბურთის კონფედერაციას, ნაკრებისთვის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობის ნება დართო. აზიის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, ომის გამო მატჩები ერაყის ნაკრების მონაწილეობით გაუკრძალველი ვადით გადაიდო. ომის დიდხანს გაგრძელება შემთხვევამ არსებობდა სამიშროება, რომ ერაყის ნაკრებს საერთოდ აკრძალვოდა ტურნირში მონაწილეობა, მაგრამ ახლა საკითხი სხვაგვარად დგას. შტანგეს თქმით, კონფედერაციის ხელმძღვანელებმა ერაყს შეეზიარებინა მონაწილეობაზე უარი არ უნდა უთხრან და დროა, მატჩების გამართვის თარიღი დასახელონ. შტანგე უახლოეს მომავალში აპირებს ერაყში ჩასვლას, სადაც თავის მოვალეობას - ნაკრების წვრთანს შეუდგება. "მე არ ვიცი, რა მოუვლიდა ჩემს მითამაშებებს. რამდენიმე მათგანს ვესაუბრე, ვიცი, რომ კიდევ რამდენიმე ცოცხალია, მაგრამ ზოგიერთის ასავალ-დასავალი საერთოდ არ ვიცი. მომავალ კვირას ჩავალ ერაყში და ყველას მოვხვები. ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და არავის აქვს უფლება, მას თამაში აუკრძალოს. ამ მძიმე პერიოდში ფეხბურთი ხალხს ცხოვრებას შეუშუშუბებს", - განაცხადა შტანგემ.

ორთო ვარსხლით ზივისვალა გუშინ უეფა-ს ჩინონებმა ოფიციალურად შეცვალეს "ოქროს გოლის" წესი "ვერცხის გოლის" წესზე. ახალი წესების თანახმად, დამატებით დროში გოლის გატანის შემთხვევაში თამაში უშლდ არ შეწყდება, არამედ გაგრძელდება დამატებით ტაიმის დასრულებამდე, ანუ მითამაშებებს 15 წუთის სრულად თამაშის შესაძლებლობა აქვლევთ. საფეხბურთო წრეებში დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია წესის შეცვლის თაობაზე და ცოტა ხნის წინ უეფა დათანხმდა კიდევ, თუმცა, ოფიციალური გადაწყვეტილება გუშინ მიიღო. "ეს სიახლე შეამცირებს დანაზღას მსაჯებსა და ფეხბურთელებზე. თუ ქვსპერმენტმა გაამართლა, მას უკვე მომავალი სეზონიდან დაენერგავთ", - აღნიშნა უეფა-ს წარმომადგენელმა მაკაი ლემ. ექსპერიმენტი ჩემპიონთა ლიგისა და უეფა-ს თასის ფინალურ მატჩებში ჩატარდება.

TV-სპორტი სამხრეთი. 29 აპრილი HTB + ФУТБОЛ 13.00 თავისუფალი დარტყმა. 13.15 საფეხბურთო უიკ-ენდი. 14.00 "გასული კვირის პიტ-აღლუმი" 15.45 გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა. 16.55 ახალ ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა. რუსეთი-ფინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია. 19.00 თავისუფალი დარტყმა. 19.20 ლიბერთადორების თასის მიმოხილვა. 20.15 "გასული კვირის პიტ-აღლუმი" 22.00 ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა. 22.55 თავისუფალი დარტყმა. 23.10 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა. 0.10 ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა. რუსეთი-ფინეთი.

HTB + СПОРТ 11.00, 14.00, 17.10, 20.00, 22.15 "პრეს-ცენტრი". 11.15, 22.00 "ოლიმპის შეილენი". 11.20, 14.15 აერობიკა. 11.45 "NHL-პლუს". კვირის შედეგები. 12.15 "რკინის ფაქტორი". ფაუერლიფტინგი. რუსეთის ჩემპიონატი კაზანში. ვაჟები 12.45 როდო. "Bull Riders". 14.40 "საჭადრაკო მიმოხილვა". 15.10 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. რუსეთი-ხორვატია. გადაწყვეტი მატჩი. 17.25 ახალ თავგადასავალი". საქრთაშორისო შერჩევა. 18.00 "NHL-პლუს". 18.10 "კეგლის შეგროვების დროა". 18.50 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა. 20.15 ყინულზე ცოცვა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 21.00 "ვარსკვლავური სამშაბათი" 22.30 "ბილიარდის მეფეები" 23.00 ცხენოსნობა. წინააღმდეგობის ვადალხვა. რუსეთის კლუბების თასი. სანტე-კატერბურგი. 0.00 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Celebration on Ice". 1.00 ახალი ამბები. 1.15 "NHL-პლუს". 1.25 "ბილიარდის მეფეები".

Eurosport 11.30 ოლიმპიური ჟურნალი. 12.00 ჟურნალი WATTS. 12.30 სპორტის ექსტრემალური სახეობები. 14.00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. პირდაპირი ტრანსლაცია. 17.00 ევროგოლი. საფეხბურთო ჟურნალი. 18.30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. პირდაპირი ტრანსლაცია. 21.30 ველოსპორტი. ტური რო. პირდაპირი ტრანსლაცია. 22.30 ფეხბურთი. მიმოხილვა. 23.00 კრივი. 0.00 კრივი. საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია. 21.15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. 3.15 მოტობროლა.

იხტორიული ფობო ას იყო 33 წლის წინათ...



მიხილ აბივილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ივო შუბაკის გუშინდელმა პრესკონფერენციამ უკვე რუსული საინფორმაციო საშუალებების ყურადღებაც მიიპყრო. რუსული მედია 6-კაციანი დესანტით იყო წარმოდგენილი, თუმცა, ხვალ რუსი ჟურნალისტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება.

"მთხარული ვარ, რომ საქართველოს ნაკრების მიმართ მედია დედინტერესს იჩენს, რაც ამ პრესკონფერენციაზე მაღალი დასწრებით დასტურდება. ახალს ვერაფრს გეტყვით. თავად ნახეთ, რომ შოთა არეულაქ ჩამოვიდა და ვარჯიშის დროს მოვიდა სტადიონზე. იგი 10 საათის განმავლობაში გზაში იყო. შეეცდებით, რომ სწეიდლება, სწრაფად მოუვსხნათ ხანგრძლივი მგზავრობით გამონწვეული დაღლილობა. სხვა მხრივ, თუ ვარჯიშს უყურეთ, შეამჩნევდით, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. მართალია, დილას ნემსაქემ ფეხის კუნთის ტკივილი იგრძობ, მაგრამ თავდაცვ ნახეთ, რომ საღამოს სრული დატვირთვით ივარჯიშა და გუნდში სრული საბრძოლო მზადყოფნა გვაქვს", - განაცხადა შუბაკმა.

ქინელაქე გაცივდა, მას მაღალი სიცხე აქვს და მეკრებზეც აღარც ჩამოსულა. "მე გიორგის ტელეფონით ვადალაპარაკე. მითხრა, რომ 39 აქვს სიცხე. ასე რომ, სამედიცინო შემონებებაზე მის ჩამოყვანის აზრი არა აქვს. სათადარიგო სიიდან ვინმეს დამატებასაც არ ვაპირებ, რადგან შეკრებულ გამოძახებული ყველა დანარჩენი ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს და მე კმაყოფილი ვარ", - აღნიშნა მწვრთნელმა.

ვარჭიში მაყურებლების თანხლებით

ივო შუბაკის მიერ საქართველოს ეროვნულ გუნდში გამოძახებულმა ლეგიონერებმა შეკრება, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი შინშენლობით, გამოცხადებული 26-ის ნაცვლად, 22 აპრილს დაიწყეს. თუმცა, ასეთი თადარიგის მიუხედავად, ნაკრები თითქმის სრული შემადგენლობით 28 აპრილის საღამოსლა შეიკრება (ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებს გიორგი ქინელაქე). სწორედ ამ დღეს, 20 საათისთვის, შოტლანდიიდან ჩამოვიდა შოთა არეულაქე, რომლის "გლაზგო რეინჯერსმაც" 27 აპრილს პრინციპული მატჩი დათმო თანაქალაქელ "სელტიკთან" (1:2). მართალია, შოთას ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თბილისში 10-საათიანი მგზავრობით გადაღლილი ჩამოვიდა, თანაც, საღამოს ვარჯიშის დამთავრებას სულ რამდენიმე წუთილა აკლდა და ნაკრებს დღეს შეუერთდება.

ერთი დღით ადრე ჩამოვიდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი, "მილანის" ქართველი ლეგიონერი კახი კალაქი, რომლის გუნდიც, არეულაქის "რეინჯერსის" მსგავსად, ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე დამარცხდა (1:2) "რომასთან". მაგრამ თუ "გლაზგო რეინჯერსი", დამარცხების მიუხედავად, სატურნირო ცხრილის სათავეში დარჩა, "მილანს" ამ ნაკვების შემდეგ "სკუდეტოსთვის" (იტალიის ჩემპიონობისთვის) ბრძო-



საქართველოს ნაკრები ვარჭიშისას

ლის შხსნი აღარ დარჩა. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სიტყვა შესარულა - გუშინ და გუშინწინ ეროვნულ სტადიონზე ღია ვარჯიშები ჩაატარა, რომელზე დასწრებაც ნებისმიერ გულშემატკივარს შეეძლო. საქართველოს ნაკრების სატურნირო მდგომარეობის, აღდგომის დღესასწაულისა და წვიმიანი ამინდის გათვალისწინებით, ამ დღეებში ნაკრების ვარჯიშს ქომავი მაინც მრავლად დაესწრო.

შუბაკმა თითქმის იდენტური ვარჯიშები ჩაატარა. ფეხბურთელებმა ჯერ

დაბალ ტემპში სირბილით რამდენიმე რე შემოუარეს მიწდორს, მოთილვის შემდეგ კი, ოთხ ჯგუფად გაყოფილებმა, ეგრეთ ნოდებული "კვადრატი" ორი შესებით ითამაშეს. მერე შუბაკმა ფეხბურთელები ორ გუნდად დაყო და მთელ მოედანზე "ომბრივი" ათამაშა. ამ ვარჯიშის დროს განსაკუთრებული ყურადღება შიაკცია დაცივდა მოდნის ცენტრში ბურთის სწრაფად შიტანას. ამისთვის თითოეულ ფეხბურთელს ბურთი მხოლოდ ორჯერ შეტების უფლება ჰქონდა, შეტევამ გადასვლის დროს

კი შეზღუდვა აღარ მოქმედებდა. ეს ვარჯიში დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ "გუნდებმა" "ომბრისის" თამაში შემცირებულ მოედანზე გაავრცელეს, ხოლო მეკრებს - გვარამაქესა და ლომიას - ვირტუალურ კარში მოუდგინდ დგომო. შუბაკმა გრძელ პასუხსა და შეტევის სწრაფად დაბოლოებაზე გაამახვილა ყურადღება.

ვარჯიში შეტევამი ოთხსვლიანი ფლაკური კომბინაციის დამუშავებით და კარში დარტყმებით დასრულდა.

დღეს საქართველოს ნაკრები დასკენით, ამჯერად დახურულ ვარჯიშს ისეც საღამოს 7 საათზე გამართავს, ოღონდ არა ეროვნულზე, არამედ იმ არეულაქე, რომელზეც მატჩი უნდა გაიმართოს - "ლოკომოტივის" სტადიონზე. პრესკონფერენციაც, არა ვარჯიშის შემდეგ, არამედ, ვარჯიშამდე ერთი საათით ადრე გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებიც.

რუსეთის ნაკრები თბილისში 18 საათსა და 30 წუთზე ჩამოფრინდება. ვალერი გაზავეცი კომპანია აეროპორტიდან სასტუმრო "შერატონ მეტეხში" დაბინავდება და პრესკონფერენციასაც იქვე გაიმართავს. გაზავეცი თბილისში სერიოზული ვარჯიშის ჩატარებას არ აპირებს. მისი გუნდი მხოლოდ მატჩის დღეს, 30 აპრილს, დღლას მსუბუქად ივარჯიშებს.

"ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონია

"ჩვენმა მეგობრებმა მადრიდის რეალიდან უნდა იცოდნენ, რომ ბაიერნი დაბრუნდა"

შაბათს, 26 აპრილს, ადგილობრივი დროით 17.20 საათზე, გერმანიის წლევიანდელი ჩემპიონი გამოვლინდა. ვოლფსბურგში გამარჯვების (2:0) შემდეგ, მამინ როდესაც უმუხლო კონკურენტებმა, "შტუტგარტმა" და "დორტმუნდმა", ქულები დაკარგეს, მიუნხენის "ბაიერნი" ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე გერმანიის ჩემპიონი გახდა.

წლევიანდელი ტიტული მეთვრამეტე "ბაიერნისთვის". 1973 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გუნდმა ასე ადრე გაიხალდა გერმანიის ჩემპიონობა. სხვათა შორის, 1973 წლის რეკორდიც "ბაიერნს" ეკუთვნის. გერმანიის ჩემპიონატის დარჩენილი ოთხი მატჩი ფორმალურ ხასიათს ატარებს მიუნხენელთათვის - ჩემპიონობაში მათ ველარჯინ შეეცილებოცხადია, უზომო იყო "ბაიერნის" ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელების სიხარული. მათი მისამართით ქების სიტყვები არც კონკურენტებს დაუშურებიათ. კლუბის მენეჯერი, ული ჰიონესი მადრიდის "რეალსაც" კი ეშუქებოდა.

ოტმარ შიტცფელი ("ბაიერნის" მწვრთნელი): "მართალი ვითხრათ, არ ველოდით, რომ ჩემპიონის ტიტულს ახლამდე გავინაღდებდით. თვჯეროდა, რომ ამ მატჩს მოვიგებდით, გუქცა, არ გვეგონა, რომ "შტუტგარტი" "როსტოკთან" ვერ გაიმარჯვებდა. ძალიან ბედნიერები ვართ იმით, რომ ჩემპიონობა დროზე ადრე გავიწვდით, ეს სიხარული ურე შედეგია. მინიშნელოვანი იყო ისიც, რომ ამ მატჩში მიხალე ბალაკმაც მიიღო მონაწილეობა. მან კარგად გამოამყვლდა თავისი მაღალი სათამაშო კლასი".



"ბაიერნი" ჩემპიონობა ლუდით აღნიშნა

ფრანც ბეკენბაუერი ("ბაიერნის" პრეზიდენტი): "გულითადად ვულოცავ გუნდის წევრებს და მწვრთნელებს. მათთან ერთად მეც უზომოდ ბედნიერი ვარ. ამ გუნდით მეგვიძლია ვიამაყოთ". კარლ-ჰაინც რუმენიგი ("ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი): "მეორე ტაიმის დაწყებამდე საკმაოდ სკეპტიკური ვიყავი განწყობილი. შემდეგ კი გუნდი შესანიშნავად ათამაშდა, იტალიაც ჩვენც იყო. ჩემპიონის ტიტული ნამდვილად დავიმსახურეთ".

ული ჰიონესი ("ბაიერნის" მენეჯერი): "ეს ვადადელი ჩემპიონობა იმის შედეგია, რომ ჩემპიონობა ლიგადთან ერთად მეც უზომოდ ბედნიერი ვარ. ამ გუნდით მეგვიძლია ვიამაყოთ". ული ჰიონესი ("ბაიერნის" მენეჯერი): "ეს შესანიშნავია. დიდი ზეიმი ვეველის. არ მეგონა, რომ ამ საქმეს ასე მალე გადავწყვეტდით. უკანასკნელ მატჩებში ზოგიერთი ჩვენგანი არცთუ ისე კონცენტრირებული იყო, რადგან ეფიქრობდით, რომ ადრე თუ გვიჩემპიონები მაინც გავხებოლდით". როკი ჰანც კრუხი ("ბაიერნის" ფეხბურთელი): "ამ მატჩში ზეიმისთვის არ ვიყავით მზად. ეს სურპრიზი ათამაგე მახარებს". ზე რობერტი ("ბაიერნის" ფეხბურთელი): "ოთხი ნეიშონი "ლევერკუზენში" ვიყავი. ჩემპიონის ტიტულამდე ყოველთვის ცოტა გვაკლდებოდა. როგორც იქნა, გერმანიის ჩემპიონი ვავხდი".



კალათბურთი

# "სალტიკის" დივიდენდები იზრდება

**ბოსტონ სელტიკსი - ინდიანა 102:92**  
(სერის ანგარიში 3:1)

ამერიკაში ყველაფერს ითვლიან. იქ ანგარიშიანობა ციფრებს ანუ სტატისტიკას ეფუძნება. სტატისტიკა კი „სელტიკისის“ სასარგებლოდ მუშაობს და ეს ყველაფერი ლეგენდარული გუნდის დივიდენდებს ზრდის. „სელტიკსი“ გამარჯვებასთან ერთ ნაბიჯზე და თუ ამას მოახერხებს, ის გახდება წლის ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი, იმ სენსაციის, რომელსაც იქნებ თვითონ ბოსტონელებიც არ ელიან.

„სელტიკსს“ ორი კარგი კალათბურთელი ჰყავს: პირსი, რომელმაც ინდიანასთან ბოლო მატჩში 37 ქულა, 10 მოხსნა და 7 გადაცემა გაახერხა და უოკერი (17 ქულა +11 მოხსნა). თამაშს, ძირითადად, ეს ორი კალათბურთელი „აკეთებს“ და ისე მოხდა, რომ „სელტიკსმა“ უკვე სამჯერ მოუგო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და პერსპექტიულ გუნდს „ინდიანა პეისერსს“. თუ სტატისტიკას დავეყრდნობით, მივხვდებით, რომ, ადვილი შესაძლებელია, მომავალ სეზონში ბოსტონელ კალათბურთელთა საკონტრაქტო ფურცელში ნულეზის სიმრავლე თვალსაჩინო გახდეს, ხოლო ინდიანასთვის ეს მარცხი (თუ ასეთი მოხდა) ბოლო წლების ყველაზე დიდი იმედგაცრუება იქნება.

**მილუოკი - ნიუ-ჯერსი 119:114**  
(სერის ანგარიში 2:2)

ეს თამაში ამერიკელებმა მონათლეს, როგორც გასული უქმეების ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი. „მილუოკი ბაქსმა“ საკუთარ კედლებში ანგარიში გაათანაბრა. ეს მატჩი „ბაქსისთვის“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო წლებიდან სეზონში. კუკორი, პეიტონი და ტომასი - მარტინის (30 ქულა, +6 მოხსნა, +5 გადაცემა), ჯეფერსონისა (28 +6 მოხსნა, +2 გადაცემა) და ჰარისის (19 +4 მოხსნა) წინააღმდეგ.

კუკორი სეზონში საშუალოდ 11,6 ქულას, 4,2 მოხსნას და 3,6 გადაცემას ახორციელებდა. ამ თამაშში კი 23 ქულასა და 5 მოხსნას მოუყარა თავი, ანუ საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ მეტს. იგივე შეიძლება ითქვას გარი პეიტონზე. მილუოკის ლიდერმა 20 ქულას 14 გადაცემა და 4 მოხსნაც დაუმატა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდევ თავისი გუნდის გამარჯვება. ტომასის მონაგარი 20 ქულა და 6 მოხსნაა. ასე რომ, ფარქვეშ ბრძოლაში და ზუსტი ტყორცების მაჩვენებლების მიხედვითაც უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და, ბუნებრივია, ამან საბოლოო შედეგსაც თავისი დიდი დასავა.

**იუტა - საკრამენტო 107:104**  
(სერის ანგარიში 1:2)

მიუხედავად იმისა, რომ „იუტა ჯაზის“ ბეჭებმა წყვილმა - კარლ მელოუნი (20 ქულა +11 მოხსნა), ჯონ სტოქტონი (15 ქულა +7 გადაცემა), კიდევ ერთხელ გაიმძიმა და ამაყ „მეფეებს“ ერთი გამარჯვება დასტყუა, სპეციალისტები იმ აზრზე რჩებიან, რომ ამ წყვილში საკრამენტოს პრობლემები არ შექმნება.

„მეფეების“ ლიდერებმა - ბიბიმ (23 ქულა, +7 გადაცემა), უებერმა (24 ქულა, +11 მოხსნა) და სტოიაკოვიჩმა (19 ქულა, +5 მოხსნა) კარგად იციან თავისი საქმე. მართალია, მელიორნისა და სტოქტონის დარი გამოცდილება არა



პოლ პირსი და უოლტერ მაკკარტი

აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ ახალგაზრდული ენერჯითა და ფინით ალემანტიან ვეტერან კოლეგებს. ამდენად, „საკრამენტო კინგზს“, რომელმაც დასავლეთში რეგულარული ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა, გამარჯვების მეტი შანსი აქვს.

**ჰორნეტსი - ფილადელფია 99:85**  
(სერის ანგარიში 1:2)

არაერთხელ გვითქვამს: აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდები იმდენად თანაბარი ძალის არიან, რომ პლეიოფში მათი დაპირისპირება მშრალი ანგარიშით (4:0) არ დამთავრდება. ყველაფერი იქით მიდის, რომ, სხვა მატჩების მსგავსად, ჰორნეტსი-ფილადელფიის დაპირისპირებაც ბოლომდე დაძაბული იქნება. ახალი ორლეანის სიმ-

პათიურმა გუნდმა მოახერხა და მესამე მატჩში გამარჯვების სასწორი თავის მხარეს გადაწია. დევიდმა (28 ქულა, +8 გადაცემა), მეგლოინმა (18 ქულა, +9 მოხსნა) და ბრაუნმა (17 ქულა, +12 მოხსნა) შეძლეს აივერსონისა და კომპანის ნეიტრალიზება. ჰორნეტსმა ფარქვეშ აშკარად დაჯაბნა მეტოქე და ამის გამო მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა. აივერსონის ანგარიშზე 28 ქულა და 7 გადაცემა. ვან ჰორნმა კი მხოლოდ 12 ქულა და 9 მოხსნა გაახერხა.

**ლეიკერსი - მინესოტა 102:97**  
(სერის ანგარიში 2:2)

შაკილ ო'ნილისა და კობი ბრაიანტის ბენეფისით აღინიშნა NBA-ის მოქმედი ჩემპიონის „ლოს-ანჯელეს ლეი-

კერსისა“ და „მინესოტა ტიმბერვულვზის“ მეოთხე დაპირისპირება. „შაკმა“ 34 ქულას 23 მოხსნა და 6 გადაცემა დაუმატა, ხოლო კობი ბრაიანტმა 32 ქულა მიითვალა ანგარიშზე. გამოვიდა, რომ საქმის 60 პროცენტი სწორედ ამ ორმა კალათბურთელმა შეასრულა. ფარქვეშ კევინ გარნეტსა და შაკილ ო'ნილს შორის ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. მინესოტას ლიდერმა კევინ გარნეტმა 18-ჯერ მოხსნა ბურთი, რასაც 28 ქულაც დაუმატა, მაგრამ „შაკის“ მაჩვენებელი ოდნავ უკეთესი აღმოჩნდა და ამან განაპირობა კიდევ მატჩის საბოლოო შედეგი.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. „ლეიკერსის“ მწვრთნელი ფილ ჯექსონი აღიარებს, რომ მინესოტა კერკეტს კაკალი აღმოჩნდა. არაფერ იცის, როგორ დასრულდება ეს დაპირისპირება. მინესოტას პლეი-ოფის წინ ფინალში გასვლის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევენ და უნდა ვაღიარო, რომ სამართლიანადაც, - აღინიშნა ფილ ჯექსონმა.

**პორტლენდი - დალასი 98:79**  
(სერის ანგარიში 1:3)

თუ ლეიკერსი და მინესოტა ერთმანეთს სამკვდორ-სასიცოცხლოდ გადავიდა, პორტლენდ-დალასის დაპირისპირებაში თითქოს ყველაფერი გარკვეულია. ყოველ შემთხვევაში, ამერიკაში მაინათ, რომ ეს ერთადერთი წყვილია, რომლის შედეგიც ეჭვს არ იწვევს. ძნელი სათქმელია, რამდენად იოლად დათმობს პორტლენდი ჰოზიციებს, მაგრამ ფაქტია, რომ პორტლენდმა, რენდოლფის (25 ქულა, +15 მოხსნა), უოლასის (23), სტადემაიერისა (17 +11 გადაცემა) და უელსის (16 +5 ჩაქრა) სანიშნო თამაშის წყალობით, საფეხბურთო ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პრესტიჟის გოლი გაიტანა და არც შემდგომ წარმატებებზე იტყვის უარს. პორტლენდმა ამ შეხვედრაში, შეიძლება ითქვას, უძლიერეს შემადგენლობას პირველად მოუყარა თავი (თუ არ ჩავთვლით ლიტველი არვიდას საბონისის ტრავმას, რომელსაც თამაშში მონაწილეობა არ მოუღია) და დალასის ცნობილი ტროსიგან - ნოვიცი (26 +11 მოხსნა), ვან ექსელი (18 +7 გადაცემა), ფინლი (7) ქვა-ქვაზე არ დატოვა.

**ფინიქსი - სან-ანტონიო 86:84**  
(სერის ანგარიში 2:2)

გამონათებს თუ არა მზე ფინიქსის ქუჩებში - ყველაზე მეტად ეს საკითხი ინტერესებს ფინიქსელ გულშემატკივრებს, რომელთა საყვარელი გუნდი პლეი-ოფში უღირსად სერიოზულ მეტოქეს, „სან-ანტონიო სპერსს“ გადააკიდებია. სან-ანტონიო დასავლეთის საუკეთესო გუნდია და სპეციალისტებიც დასავლეთ კონფერენციიდან ფინალში გასვლას ყველაზე რეალურ კანდიდატად სწორედ მას მიიჩნევენ. ტიმ დანკანის სახით, „სპერსი“ საუკეთესო კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. სწორედ ეს აბელელები ფინიქსელ ქომაგებს. „მეზებმა“ სერიაში ანგარიში კი გაათანაბრეს, მაგრამ გადაწყვეტი მატჩები ჯერ წინ არის და, თანაც, სან-ანტონიოში, სადაც „სპერსი“, ალბათ, საქმეს ისე არხეინდა აღარ მოუკიდებდა, როგორც პირველ შეხვედრაში, როცა ოვერ-ტიმში გამარჯვება მეტოქეს დაუთმო - 95:96.



## ფილიპინური კაბაჯა

ქერლინგის დაბადების თარიღად 1511 წელია მიჩნეული. თარიღის ასეთი სიზუსტით განსაზღვრა განაპირობა არცთუ დიდი ხნის წინათ შოტლანდიაში არქეოლოგების მიერ ნაპოვნმა ნივთმა. ერთ-ერთი ტბის სიახლოვეს ნაპოვნ ქვაზე ამოტივფრული იყო "1511". არქეოლოგები გადაჭრით ამტკიცებდნენ, ქვა ქერლინგის სათამაშო იყო, მასზე ამოტივფრული რიცხვი კი წელს აღინიშნავდა.

ამაზე ძველი აღმოჩენების შესახებ მეცნიერებისთვის არაფერია ცნობილი. მოკლედ, ქერლინგის დაბადების თარიღად 1511 წელი, ადვილად კი შოტლანდია ითვლება. თავად სიტყვა Curling - ბზრიალს, ჩახვევას ნიშნავს. 1738 წელს ჩამოყალიბდა ყინულზე გრანიტის ქვების გაშვების მოყვარულთა პირველი კლუბი. იქიდან მოყოლებული, ქერლინგმა მთელ მსოფლიოში დაიწყო გავრცელება. წესების მიხედვით, ქვის წონა 19,96 კგ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ქვედა ზღვარი მოთამაშის ასაკით განისაზღვრება. მართალია, 19,96 კგ გრანიტის ქვის მაქსიმალურ წონად ითვლება, მაგრამ რატომღაც დამკვიდრდა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებზე ქვები ამ წონისა უნდა იყოს.

XVIII-XIX საუკუნეებში ევროპიდან ამერიკაში დანერგულმა მიგრაციამ სპორტის ეს სახეობა კანადაში დაამკვიდრა. კლიმატური პირობებისა თუ სხვა მიზეზთა გამო ქერლინგი ამ ქვეყანაში ლამის სპორტის ნომერ პირველ სახეობად იქცა. ამერიკაში მის გავრცელებას კანადაში პოპულარობამ შეუსწო ხელი. სწორედ ამერიკელთა და კანადელთა დამსახურებაა, რომ ქერლინგი დღეს ოლიმპიური სახეობაა.

საქართველოში ქერლინგის არსებობის შესახებ ცნობა არ მოიპოვება, თუმცა, ძველრუსული დოკუმენტების მიხედვით XIX საუკუნის ბოლოს რუსი თავადები ცდილობდნენ, ის საქართველოში დაემკვიდრებინათ. იქ-



იდან გამომდინარე, რომ ამის მეტი არაფერია ცნობილი, გამოდის, რუსებმა ეს ვერ მოახერხეს. შესაძლოა, ამაში მათ პირველმა მსოფლიო ომმა, შემდგომ კი რევოლუციამ შეუშალა ხელი.

რუსებმა თამაში ისწავლეს მათ ქვეყანაში არსებული ინგლისისა და გერმანიის საელჩოს თანამშრომლებისგან, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთესად შეძლებდა მეტოქის ქვის განდევნას "სახლიდან".

ლურჯი ზოლით შემოსაზღვრული "სახლის" რადიუსი 1,83 მეტრია. მოთამაშის ამოცანაა, "სახლის" ცენტრთან მისი ქვები რაც შეიძლება ახლო განაღვას, ამავე დროს, არაა შეზღუდული "სახლიდან" მეტოქის ქვების განდევნაც.

იმ პერიოდში ქერლინგმა მალე მოიკიდა ფეხი საზოგადოების მაღალ წრეებში, დღეს კი ინტელექტუალური ადამიანების ერთ-ერთი საყვარელი თამაშია. სიტყვა "ინტელექტუალური" ქერლინგთან დაკავშირებით უზრალად არ გვიხმარია. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ინტელექტუალური დონით ქერლინგი არაფრით ჩამოუვარდება ჭადრაკს. შესაძლოა, ვილაცას ის მარტვად მოეჩვენოს - ქვის გაშვებას რა დიდი ჭკუა უნდაო, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღწევად სწორი სათამაშო ტაქტიკისა და სტრატეგიის შერჩევაა საჭირო. რაც უნდა ითქვას, ქერლინგი მაინც სპორტია, რომელიც დიდ ფიზიკურ და, ასე ვთქვათ, ტემპერატურულ გამძლეობას მოითხოვს.

თამაში ყინულზე მიმდინარეობს. მოთამაშეს ხან 20-კილოგრამიანი ქვების გაშვება უნევს, ხან კიდევ ჯაგრისით 4-5 კილომეტრის "გზის" გაწმენდა. სხვათა შორის, ყინული 5 სმ-ზე მეტი სისქისა არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ზედაპირი ოდნავ, მაგრამ მაინც უსწორმასწორო ხდება.

საბჭოთა კავშირში ქერლინგის დამკვიდრება 60-იან წლებში სცადეს, მაგრამ მოსკოვში ვინმე დიასამიძის მიერ დაარსებული ქერლინგის კლუბი მალევე დახურა ხელისუფლებამ. ამის შემდეგ დიდხანს არავის უცდია სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია. მხოლოდ 90-იან წლებში გამოჩნდნენ პირველი ქერლერები ყოფილი საბჭოეთის სივრცეში.

საქართველოში ქერლინგი გერჯერობით არავის დაუნერგავს. მიზეზი უამრავია, თუმცა, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ის ძვირი სულაც არაა. თითო ქვა 200 დოლარამდე ღირს და 7-8 წლის მანძილზე ვარგისია. სათამაშოდ 16 ქვაა საჭირო. გაცილებით ნაკლები ღირს ჯაგრისები, რომლებიც ასევე რამდენიმე წელსინაღს ძლებს.

გარდა ამისა, საჭიროა სპეციალური ფეხსაცმელი და, რაც მთავარია, ყინული. ერთი სიტყვით, სურვილის შემთხვევაში, ჩვენში სპორტის ამ სახეობის დანერგვაც შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ ის უკვე ოლიმპიური სახეობაა.

როგორც

# აგასი - მსოფლიოს პირველი რობანი

ანდრე აგასიმ წლებიდან სეზონში 24 თამაშიდან 23 მოიგო და პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყარად დამკვიდრდა. 32 წლის ჩოგბურთელი ყველაზე ხანდაზმულმა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე მსოფლიოს პირველი მოგონობა ღირსება. აგასიმ ტენისის შტატის ტურნირის ნახევარფინალში ავსტრიელი იურჯენ მელცერის დამარცხებით მოიპოვა პირველობა.

ბოლოს კი ამერიკელთა კერპმა ფინალში ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ენდი როდიკსაც ჩაუტარა გაკვეთილი და მორიგი ტურნირი მოიგო. „აგასი თითქოს მეორე ახალგაზრდობას განიცდის. მასზე ასაკი

პირიქით მოქმედებს. ის შესანიშნავ ფორმაშია. ასეთი თავდაჯერებული კარგა ხანია არ მინახავს“, - განაცხადა ენდი როდიკმა.

ანდრემ მას ცხვირწინ ააცალა გამარჯვება - ასე გამოეხმაურა პრესა ამ ფინალს. მართლაც, საინტერესო სანახავე იყო, თუ როგორ გაუსწორდა აგასი თავის ახალგაზრდა თანამემამულეს. არადა, პირველი სეტის შემდეგ ვერ იტყოდი, რომ მომავალში მსოფლიოს პირველი ჩოგნის უპირატესობა ესოდენ თვალსაჩინო იქნებოდა. აგასიმ ახალგაზრდა ოპონენტს პირველი სეტი საკმაოდ იოლად - 6:3 დაუთმო. თუმცა, სიმარადე რომ ითქვას, არავის შექმნია ილუზია, რომ მოვლენები მომავალშიც

ასეთი სცენარით განვითარდებოდა. მართლაც, თავდაჯერებული ანდრე უნებლიე შეცდომების მსხვერპლი გახდა.

მეორე სეტში კი კორტზე აბსოლუტურად სხვა სიმბეჭე აწყობილი გამოვიდა. მან თავის მონოდებებს მეტოქის ორი გეიმიც დაუმატა და როდიკს აგრძნობინა, რომ პირველი სეტი უბრალო გაუგებრობა იყო და სხვა არაფერი. მეორე სეტში იგივე ანგარიში დაფიქსირდა (6:3), ოღონდ აგასის სასარგებლოდ. აგასის უპირატესობა გადაწყვეტ სეტშიც თვალსაჩინო იყო. მსოფლიოს პირველი ჩოგანი სრულიად აკონტროლებდა სიტუაციას და მისი გამარჯვება ერთხელაც არ დამდგარა ეჭვის ქვეშ. საბოლოოდ

აგასიმ 6:4 მოიგო. რაც შეეხება როდიკს, მან, წინა კვირასთან შედარებით, პროგრესი განიცადა და მეორე ადგილამდე შეეძვრა ალზევად.

**ჰიუსტონი (აშშ) ვაშეტი. თიხნარი. საპირბო ფონდი 380 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი (აშშ).**

**ნახევარფინალი:**  
ანდრე აგასი (აშშ, 1) - იურჯენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:1  
ენდი როდიკი (აშშ, 2) - ოლივიე მიუტი (საფრანგეთი) 4:6, 6:1, 6:2  
**ფინალი:**  
ანდრე აგასი (აშშ, 1) - ენდი როდიკი (აშშ, 2) 3:6, 6:3, 6:4



გეგმაპროექტით „ლაგუნა ვიკი“







# „უფლისწული კავკასიონიდან“ ნიუ იორკში

## მეორე სტარა

პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. „ოსი უფლისწული კავკასიონიდან“ ვალერი გერგიევი. ზოგი ამ არაოფიციალურ ნოდებას ალტაცებით წარმოთქვამს, ზოგი – სწოხური ღმილით, ისინი „ოს უფლისწულს“ დაინიხს პრინცს ამგვარებენ, არეულსა და ეჭვებით გვემულს. უფლისწულთან, რომლის დევიზიც „უშიშრად წინსვლა“, თავს მყუდროდ ვერ გრძნობენ. მაგრამ ერთნიც და მეორენიც ალიარებენ, რომ „ოსმა უფლისწულმა“ ამერიკელ მუხათა დედაქალაქი, ნიუ იორკი, იერიშით აიღო. ამასაც ზოგი ალტაცებით აღნიშნავს, ზოგი – დანაწებით. (როცა „ერთსა“ და „მეორეს“ ვასახელებ, მუსიკალურ სამყაროს ვგულისხმობ. რაც შეეხება აუდიტორიას, ის „ოსი უფლისწული“ მოხიბლულია. მისთვის ის ზღაპრული პრინციცაა).

სწობებს ვერაფერს მიაწონებ. როცა მარტში გერგიევი ვერდის „ოტელოს“ დირიჟორობდა, მუსიკალური კრიტიკოსები მწვერვლით დაესვენენ. ბრალად დასდეს, გერგიევმა ისეთი ტემპი აიღო, რომ „მეტროპოლიტენ ოპერას“ ორკესტრსა და გუნდს კინაღამ გული ამოუფარდა, რომ მათ პანიკა დაეწყათ მისი „იდიოსინკრატული ტემპის“ გამო.

სწობებს ვერაფერს მიაწონებ. აპრილში, როცა იმავე „მეტროპოლიტენში“ გერგიევი ვაგნერის „პარციფალს“ დირიჟორობდა, მუსიკალური კრიტიკოსები კვლავ დაეტანენ, ამჯერად იმის გამო, რომ მის მიერ აღებული ტემპი მეტისმეტად შენელებულად იქნენათ, რომ მისი პაუზები „დრამატული დემოლიც კი არა, მკვდარი, სტატიკური სიცარიელე იყო“, რომ მისი ვაგნერის მიმართ მიდგომა „მეტისმეტად რაფსოდული“ (?).

მოკლედ, რას აღარ სწავლია, რომ „ოსი უფლისწული“ ნიუ იორკის მუსიკალური მეფე არ გახდეს.

რატომ? ვალერი გერგიევის დებიუტი „მეტროპოლიტენში“ 1994 წელს შედგა. ოპერა, რომელსაც ის დირიჟორობდა, ვერდის „ოტელი“ გახლდათ. წარმატება უზარმაზარი იყო – საზოგადოებაც მოიხიბლა და კრიტიკოსებიც. გამომდინარე და ექსპრესიული ბერივით, გამომეტყველებელი ადგილი მოუზანს, ის უცხო ხილს ჰგავდა, უჩვეულო, მაგრამ სასიამოვნო გემოს მქონეს. მიუხედავად „ოსი უფლისწულის“ „არაიტალიურობისა“, მის მიერ ვერდის ამ ოპერის დრამატული სიღრმეების წვდომამ ნიუ იორკი მოიხიბლა. „გუნდი და ორკესტრი ენერგიის ქარბორბალში ჩააბა, რომელიც ვერდის *Dies Irae*-ს მოგვაგონებდა“, იქნა დედადროტო მტრებიანი „ნიუ იორკ ტაიმსი“.

მაგრამ რატომ იქცა ის, რასაც 1994 წელს მიხარამბობდნენ, 2003-ში გაიციტის ობიექტად? დროის ამ მონაკვეთში ყველაფერი უცვლელი დარჩა – ვერდის „ოტელი“ და მისი შესრულებაც გერგიევის ხელმძღვანელობით. მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა: მისი სტატუსი. 1994 წელს „ოს უფლისწულს“, უცხო ქვეყნის ეგზო-

ტიკურ ხილს, რომელიც „მეტროპოლიტენში“ პლაჩიდო დომინგოს დაივინებული რჩევით მიიწვიეს (სწორედ ის მღეროდა ეჭვიანი მაერის პარტიას), ისტ-რივერზე შეხვდნენ არა უბრალოდ როგორც დირიჟორს, არამედ როგორც „კიროვის“ ოპერის მხსნელს, რომელიც მარისის თეატრს 1988 წელს, 35 წლის ასაკში ჩაუდგა სათავეში და ფეხზე დაეყენა. წმინდა მუსიკალური წარმატებას პოლიტიკური ობერტონები კვებავდა: აქაოდა, „ოსმა უფლისწულმა“ სანქტ-პეტერბურგის მძინარე მზეთუნახავი სოც-რეალიზმად წოდებული ბოროტი ჯადოქრისგან იხსნათ. თან გერგიევი „მეტროპოლიტენის“ სადირიჟორო პულტთან ჩაქროლებულ კომეტად აღიქმეს, და არა ვარსკვლავად, ყოველთვის ერთ ადგილას რომ ციალებს.

2003 წელს ვალერი გერგიევი „მეტროპოლიტენში“ უკვე ვარსკვლავია. ამ ოპერის სადირიჟორო პულტი, მისთვის უკვე სასტუმროს ნომერი კი არა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილია. ამჟამად „ოსი უფლისწული“ „მეტროპოლიტენ ოპერას“ მთავარი მინეული დირიჟორის ნოდებას ატარებს. ეს უკვე სულ სხვა საქმეა. სხვათა შორის, მუსიკალური ნიუ იორკის წარმომადგენლები ამასაც ბრალად სდებენ. ასეთი სწრაფი კარიერა „მეტში“ მხოლოდ ერთთულებს ღირსებით. დებიუტის, „ოტელოს“ შემდეგ გერგიევმა მის სცენაზე ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ დადგა (1996-97 წლების სეზონი). 1997 წელს კი „მეტის“ გენერალურმა დირიჟორმა, ჯოზეფ ვოლპიმ, ის „მთავრად“ დაინიშნა, და თქვა, „ჩვენი ჯგუფში მისტერ გერგიევის მომავლის სახსრებზედაც კი ვერ ვხედავო“. ეს ბეგის არ მოეწონა. „მეტში“ მოხეტიალეები დიდად არ უყვართ. აი, „მეტის“ გენერალურ დირექტორს კი „ოსი უფლისწული“ ძალიან უყვარს, ცხადია, არც ლამაზი თვალის და არც კაპუტინური ვარცხნილობის გამო. გერგიევი მისთვის შემოსავლის და მუსიკალური ნოვატივის წყაროა. ვოლპიმ არც ორკესტრანტების ჭორები აქცევს ყურადღებას და არც კრიტიკოსების ბუზღუნს. „მეტში“ მოღვაწეების წლებში გამიგინია, როგორ უჩიოდნენ მუსიკოსები კარლოს კლეიბერს, ლენი ბერნშტაინს, სერჯი ოზავას, კრისტაინი თომასს და ჯეიმს ლივინსაც კი („მეტის“ ახლანდელ მთავარ დირიჟორს – მ.ს.). ასეთი ჩივილი მუსიკოსთა სამყაროში ჩვეულებრივი მოვლენაა,“ ამბობს „მეტის“ გენერალური მენეჯერი.

რასაკვირველია, ვოლპისაც აქვს პრეტენზიები „ოსი უფლისწულის“ მიმართ. მთავარი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ „უფლისწული“ „ქრონიკულად იგვიანებს ორკესტრთან პაემანზე“. ასე, მაგალითად, „პარციფალის“ გენერალურ რეპეტიციასზე მან ათი წუთით დაიგვიანა (გერგიევის თქმით, მუხლი იტყინა და ზედყინულის დადგმა მოუწია). 4 აპრილს, „პარციფალის“ პრემიერაზე, „ოსი უფლისწული“ ფარდის ანევაზიმედ სულ რამდენიმე წუთით ადრე გამოცხადდა.

რა გაეწყობა; მეფე ხომ არაა, უფლისწული, თან ოსი... ეს პატარ-პატარა „ქრონიკული დაგვიანებები“ ზოგმა კრიტიკოსმა ხელზე დაიხეცა და უსაზღვლოდ გაბუჟა. თავად გერგიევი კმაყოფილია



ვალერი გერგიევი



პლასიდო დომინგოსთან ერთად

იმ ურთიერთობებით, რომელიც „მეტის“ ორკესტრთან და გუნდთან დაუმყარდა. ამასწინათ განაცხადა, რომ მათთან მუშაობისას „არაფერს განიცდის დიდი, ძალიან დიდი კმაყოფილება გრძნობდა“. გერგიევს სამომავლოდ ზრანდიოზული გეგმები აქვს – მსოფლიოს ნაკლებად ცნობილი რუსული ოპერები და მარისის მომღერლების ახალი თაობა უნდა გააცნოს. ივლისში „მეტის“ სცენაზე რუსული ოპერის სამკვირიანი ფესტივალი გაიმართება, დაიდგმება პროკოფიევის „სემიონ კოტკოვი“ – პირველად „მეტის“ სცენაზე. შესრულებენ ვერდის „მაკბეტსაც“.

ნიუ იორკის მუსიკალურ სამყაროს გერგიევის ახალი რეპერტუარი ისე არ ამიწებს, როგორც „მეტის“ ძველი, ნაცადი რეპერტუარის მიმართ მიდგომა, რომელსაც მისი მთავარი რეჟისორის, ლივინის კანონიკური კვალი ემწნევა. გერგიევი სტანდარტული რეპერტუარის არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს უძებს. „მიუხედავად ჩემი „მეტის“ მიმართ ფანტასტიკური გრძობებისა, კომფორტაბელური, გაკვალილი მარშრუტებით მოგზაურობა ჩემი საქმე არაა,“ ამბობს გერგიევი.

ეს უბრალოდ დეკლარაცია არ არის. ოცი წლის განმავლობაში „მეტში“ „პარციფალს“ მხოლოდ ლივინი დირიჟორობდა. მუსიკოსები, ცხენებით, ლამის ინსტიტუტურად მიდიოდნენ მის თვალში. გერგიევმა ისინი ამ მთავარულის მდგომარეობიდან გამოიყვანა, ამიტომ იყო, რომ

თავიდან ნიხლები აყარეს. მაგრამ „პარციფალის“ მეოთხე წარმოდგენაზე (15 აპრილს) ორკესტრი ლაღად და შთავგებობით უკრავდა, განსაკუთრებით, ლირულ ადგილებს. შეიძლება უსასრულოდ ვიკამათოთ, რომელი „პარციფალი“ სჯობს, ლივინის თუ გერგიევისა. მაგრამ ოცი წელი ერთიდაიგივეს მოსმენა არ შეიძლება, ამისთვის ფორფიტები და ჩანანერები არსებობს. ამ ორი დიდი ოსტატის „პარციფალი“ განსხვავებულია, და სწორედ ესაა მიზნად.

თუკი ერთხელ უკვე შევადარე მუსიკოსები ცხენებს (რაც არც ამპარტავნობა და არც დაცინვა), კვლავ ამ ხაზს ვავაგრძელებ. ცხენი ერთ მხედარს ეყვება, და თავიდან ახლის ჩამოგდებას ცდილობს ხოლმე. ისეთ სუპერინსტიტუციონალურ „საჯინოში“, როგორც „მეტროპოლიტენ ოპერას“, სადაც მრავალი წლის განმავლობაში „მათარაბი“ – დირიჟორის ოპონი – ჯეიმს ლივინს უჭირავს, ახალი „მხედრის“ გამოჩენა, ცხადია, გარკვეული სირთულეები და შეჯახებები გამოიწვია. ლივინი დიდებული დირიჟორი და ინტერპრეტატორია. მაგრამ „მეტის“ ნაკლებანებზეც მისი მთავარი დირიჟორის ღირსებების გაგრძელებად იქცა. მის სცენაზე ყველა ოპერა, ასე ვთქვათ, ლივინური გახდა. გერგიევი თვლის, რომ ეს „ბრძნული არ არის“. ის ამბობს: „ერთი საქმეა, როცა დირიჟორობა პრეფესიული მასშაბურია, იმისთვის განუვლი, რომ ყველამ კომფორტულად იგრძნოს თავი. სულ

სხვაა, როდესაც დირიჟორი ყოველ წარმოდგენას აბსოლუტურად აკეთებს.“ მაგალითად მას თავის „პარციფალი“ მოჰყავს. ის თვლის, რომ ერთი „პარციფალი“ კი არ შეასრულა ოთხჯერ, არამედ ოთხი სხვადასხვა „პარციფალი“ დადგა.

ეს მუსიკოსებს ანერვიულებს, რაც ადამიანურად სასტიკოდაც გასაგებია. ეს-ესაა, ერთი საჯინოზოკენ გზა გაიკვალე, და უკვე მეორისკენ მიგერეკებიან, თან ისე, რომ არც გაგფრთხილებს. გერგიევი ალიარებს, რომ „გარკვეულწილად, ეს იმპროვიზაცია“, ძნელია, მაგრამ, ალბათ, მანინც ჯიან „ოსი უფლისწული“ მშობლიური კავკასიონით ნახანგოვანი კარდიოგრაფია გქონდეს, ვიდრე მიცვალებულის მონიტორზე გამოსახული სწორი ხაზი. გერგიევის სადირიჟორო ტექნიკაც „იმპროვიზაციულია“. „მეტის“ ორკესტრანტები, რომლებიც ლივინის კლასიკურ სტილს არიან მიჩვეულები, ნახანგოვანი ჩიხში ექცევიან ხოლმე – რას ითხოვს დირიჟორი, კომუნდოს თუ დიმიწუნეფოს? მაგრამ, როგორც ლივინიან, ყველაფერი მიჩვევაზეა. ნახეთ, როგორ ჟღერს „ოსი უფლისწულის“ ორ მუერიგებულ ბანაკად გაყვეს, თუმცა თვითონ, რამდენადაც ვიცევს, გერგიევის სადირიჟორო სკამიდან წამოიხრება კი. იმათ კარგად იციან, სად ფორტუა და სად – პაირო (მაგალითად, 2000 წელს, ზალცბურგის ფესტივალზე შესრულებული სტრავინსკის „ფასკუფი“ გერგიევის მთავარ ნემიშნადა, „ნიუ იორკ ტაიმის“ მუსიკალურ კრიტიკოსს, ენტონი ტომპაზინსაც კი მოეწონა).

თუმცა, მრავალ წარმოდგენაში გერგიევი და „მეტის“ ორკესტრი ერთმანეთს უკვე შეეწყვნენ. ეს, პირველ რიგში, რუსული ოპერებია – „პიკის ქალი“, მუსორგსკის „პირის გოდუნოვი“, პროკოფიევის „მოთამაშე“, და ასევე ვაგნერის „ფურინია პოლანდელი“. ვინაიდან ამ ოპერებს ჯეიმს ლივინისული კანონიკური ინტერპრეტაცია არ არსებობდა, „მეტის“ მუსიკოსებმა გერგიევისული ძირითადად მიიჩნიეს და „თავიდან სწავლის“ მტკივნეულ პროცესს გადაარჩნენ.

დაბოლოს, წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი. ნიუ იორკელი ოპერის მოყვარულთათვის „მეტის“ ტაძარია, და თუ მისი ქურუმი ხარ, სხვაზე ლოცვის და, მით უმეტეს, წირვის ჩატარების უფლება არა გაქვს. „მეტის“ არამარტო ქურუმი, არამედ მონაცუნდა იყო, მარად მის გაღერაზე მივაჯგუფო. მიუხედავად „მეტის“ მიმართ დიდი პატივისცემისა და, შესაძლოა, სიყვარულისა, გერგიევი მისი მონა არ გახლავთ. მარისის თეატრში ის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა და ოპერის და ბალეტის დირექტორიც („მეტში“ ამ მოვალეობებს ოთხი ადალი მიანი ასრულებს). გარდა ამისა, გერგიევი როტერდამის ფილარმონიული ორკესტრის მთავარი დირიჟორია. მარისის ორკესტრთან ერთად გერგიევი წელნაღამი ორმეცამდე „გასვლელი“ კონცერტს ატარებს, „მეტის“ – მხოლოდ ოთხს „კარნავალ-პოლში“ და ერთ-ორს საზღვარგარეთ. ჰო, კინაღამ და მამაინყდა: „ოსი უფლისწული“ სანქტ-პეტერბურგის ფესტივალის, „თეთრი ღამეების“ სამხატვრო ხელ-

მძღვანელიცაა! წელს ეს ქალაქი თავის 300 წლისთავს იხეიმებს. გერგიევი ვაგნერის „ნიბელუნგების ბჭედის“ ოთხივე ოპერის დირიჟორი იქნება, ისე, როგორც ეს მისი ავტორის მიერ იყო ჩაფიქრებული (ეს მარისის ოპერის თეატრის ახალი დადგმაა). გარდა ამისა, გერგიევი დირიჟორებს „ერთა ორკესტრის“ კონცერტზეც და გლინკას „სიცოცხლე მეფისთვის“ საკონცერტო შესრულებაც. ცხადია, შეიძლება ითქვას, რომ გერგიევი „იფანტება“. თუმცა, მარისის თეატრს რომ „მეტის“ მსგავსი ფინანსური საძირკველი ჰქონდეს, ამდენს არ იხეტილებოდა. ახლაც კი მარისის თეატრი „ოსი უფლისწულს“ და მათხოვარია“ დოლარებით გაბერილ „მეტთან“ შედარებით.

გერგიევის „სააქტივო პაკეტის“ წლის მფლობელი სხვა მუსიკალური ტაძრების მიმართ ეჭვიანობას, სხვა სახის ეჭვიანობაც ემატება. „მეტის“ სადირიჟორო პულტი ჯეიმს ლივინის ტახტია. მისი მრავალწლიანი თანვანისმცემლები, განსაკუთრებით მასთან „შეზრდილი“ მუსიკალური კრიტიკა „ებრაელი მეფის“ ტახტს „ოს უფლისწულს“ ვერ უთმობენ. ლივინმა და გერგიევმა მელომანები ორ მუერიგებულ ბანაკად გაყვეს, თუმცა თვითონ, რამდენადაც ვიცეით, ერთმანეთს ჩინებულად ეწყობიან.

მაგრამ კრიტიკოსებს ნევრასტენიკი თაყვანისმცემლები მსგავსად მოქცევა არ ეკადრებათ. მათ შორის ყველაზე ობიექტურნი და მორსტერტულნი უკვე მიხვდნენ, რომ გერგიევს „მეტისთვის“ მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია, „მეტში“ სიცოცხლე შეაქვს, რომელიც მას მუსიკალურად, გიგანტურ მუსიკალურ ზარდახმად ქცევის საფრთხეს გადაარჩენს. „მეტროპოლიტენ ოპერას“ მომავალ სეზონში გერგიევი რისარად მტრულის ოპერის, „სალომეას“ ახალ დადგმას და სამ სტრავინსკის უდირიჟორებს, 29 სექტემბერს კი სეზონის ვერდის „ტრაგიატა“ გახსნის.

ნიუ იორკში „ტრაგიატას“ მოუთენვლად ელიან. მასში, პირველად „მეტის“ სცენაზე, ვოლფგანგ პარტიას სრულიად ამერიკის საყვარელი სოპრანო, რენე ფლემინგი შეასრულებს. „ნიუ იორკ ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გერგიევი „უჩვეულო“ „ტრაგიატას“ დაგვირდა, რადგან მასაც და რენე ფლემინგსაც რისკი უყვართ. გერგიევმა თქვა, რომ ამ დიდი ოპერის აღქმის ორი გზა არსებობს: „ერთი – შევწყვიტოთ მისი სცენაზე დადგმა და ჩანანერები ვის-სინთი კლასის მონაწილეობით; სხვათა შორის, ძალიან კარგი რჩევაა. მეორე – განვადრძოთ „ტრაგიატას“ დადგმა იმ იმედით, რომ, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს სცენაზე გამოჩნდება ვინმე, ვინც ამ ოპერას მთელი შენი ცხოვრების ყველაზე მინიმუმოდ მოვლენად აქცევს. ასე რომ, წარმატებას ვისურვებ, რენე!“ (საინტერესოა, რომ ამ ინტერვიუს ილუსტრაციად ლივინის უზარმაზარი ფოტოურათი აქვს დართული – ის უმაღლეს მუსიკალურ სფეროში ტრაგიატას; მის გერგიევი და მისი უზარმაზარი ფოტო, რომელზეც ის ფეხშიშველ დერვიშს ჰგავს – მ.ს.). „ოს უფლისწულსაც“ ვუსურვით წარმატება...

# ბურული მხედრები ამერიკულ მუხტურ ფილმების მონაწილეობდნენ

იხილეთ [www.readthewest.com](http://www.readthewest.com)

## თავარ სანივონი

“გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ირაკლი მახარაძის სტატია (თბილისი, საქართველო), - ნანევეტი ნივნიდან “ველური დასავლეთის ქართველები” – Wild West Georgians (ინგლისური თარგმანი კახა თოლორდავას ეკუთვნის). საქართველო ცნობილი იყო მხედრობის ხელოვნებით. ხშირად ცდებიან და ქართველ მოჯირითებს რუს კაზაკებთან აიგივებენ. 1892-1925 წლებში ქართველები მონაწილეობდნენ საციროო სანახაობებსა და ამერიკულ უაბილ დეესტის მოუბებ, ძირითადად ბაფალო ბილის უაბილ ვესტის მოუბი...”

ასე წარადგენს ამერიკული ყოველთვიური ონლაინ მუხრნალი – American Western Magazine (საიტზე: [www.readthewest.com](http://www.readthewest.com)) ქართველი რეჟისორის, ირაკლი მახარაძის სტატია, რომელმაც უკვე ბევრი მკითხველი დაინტერესა და იმედია, კვლავაც ბევრს დაინტერესებს.

თავად სტატიის ავტორი გურული მოჯირითების ამბით სერიოზულად 1996 წლიდან დაინტერესდა. მერე გადაიღო 30-წუთიანი დოკუმენტური ფილმიც: “უაბილ ვესტის მხედრები”, რომელმაც არიზონას საეროთაშორისო ფესტივალზე ფინალისტის პრიზი მიიღო.

“ჯერ იყო და ბავშვობიდან მესმოდა, გურიამი ყვებოდნენ გურული ცხენოსნების ამბებს, ამერიკაში რომ ჩავიდნენ და გურიით და სისწრაფით რომ გადადრეს ამერიკელები, მერე ერთი ძველი ფილმიც ვნახე - “ვინ არის დამნაშავე” ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით. ინტერესი ნელნელა გაღვივდა...” - გვიამბობს ირაკლი მახარაძე.

ერთხელაც ქართველი რეჟისორი ფურნალ “ნიმენელ ჯეოგრაფიკის” ნომერს ათავალიერებდა და სრულიად შემთხვევით გადააწყდა ამერიკული შორს პლაკატს, პლაკატზე გამოხატული ცხენოსნების შორის იყო ვინმე პრინცი ლუკა, ირაკლი მახარაძემ პრინცის ნამდვილ ვინაობას მიაკვლია. პლაკატზე დახატული ცხენოსანი ლუკა ჩხარტომელი აღმოჩნდა.

ასე დადავ ირაკლი მახარაძე ამერიკაში გურიიდან ჩასული ცხენოსნების კვალს. ამ კვლამ აკადემიკოს ამირი (გამცილებილი მთიყვანა; ამირან ცაგარელი პირადად ცნობად ბევრ ამერიკელს და უამრავი მასალაც ჰქონდა შენახული. რეჟისორმა ამერიკულ არქივებსა და ბიბლიოთეკებსაც მიაკითხა. მერე გაიცნო ამერიკაში მცხოვრები რიზარდ ჯორჯიანი - მოჯირითე ალექსი გოგობიას შვილმეფილი, რომელიც ასევე წერს წიგნს გურულ მხედრებზე. თანადათან დიდალი ფოტო თუ წერილობითი მასალა შეგროვდა და 2001 წლის ბოლოს პატარა ნიგნიც გამოვიდა ქართულად და ინგლისურად (ეს ნიგნი მალაზია “პროსპეროსა” და “პარნასში” იყიდება). “ამ ნიგნის ინგლისურ ენაზე გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - უცხოეთში ბოლოსდაბოლოს უნდა გაეგოთ, რომ ეს მარდი მხედრები, კაზაკები კი არა, ქართველი მოჯირითები იყვნენ, საქართველოს ერთ-ერთი კუთხის გურიის მკვიდრნი.”

წიგნი ავტორის ინიციატივით დაეგზავნა არაერთ მუხუმასს თუ არქივს. როგორც ჩანს, ცდაში შედეგი გამოიღო. ერთ-ერთ ინგლისურ საიტზე ვაჩნდა სტატია სათაურით – “რუსიე კოვბოი”, რომელსაც კითხვის ნიშანი ჰქონდა დასმული. სტატიაში კი ნათქვამი იყო, რომ ცხენოსნები, რომლებიც ამერიკ-



ბურული მხედრები ინგლისში, 1892.

ულ მოუმი გამოდიოდნენ და რომელითაც “კაზაკები” სახელი მოიხსენიებდნენ, რუსები კი არ ყოფილან, არამედ საქართველოდან ჩასული მხედრები.

“ამერიკიდან ბევრი გამოიმხმარა, ნიგნის გაყიდვაც შემოთავაზეს. იცით, გამეცინა კიდევ, რატომ დავაინტერესათ-მეთქი, და ასეთი პასუხი მივიღე - ეს ხომ ჩვენი ისტორიააო,” - გვეუბნება ირაკლი მახარაძე, და ცოტა უკვირს კიდევ, ამ ისტორიით ქართველებზე მეტად ამერიკელები რომ დაინტერესდნენ. ასეთი ინტერესი ჩვენშიც რომ გამოიწვიათ, რეჟისორი ექსპონიციასაც შემოგთავაზებდა, რომლის გაყიდვას დიდი ხანია აპირებს, მაგრამ ხელისშემშლელი მიზეზები არ იღევა. “რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ ეს ეპიზოდი ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი არაა, მაგრამ მაინც ხომ ჩვენი ისტორიის შემადგენელი ნაწილია. ამ ხალხმა სულ თუ იცნო გაუთქმა სახელი თავის მხარეს, ახლა მაინც ხომ გაიგეს უცხოეთში, რომ კაზაკებად წოდებული მოჯირითები ქართველები არიან... თანაც, მე ვფიქრობ, ეს ძალიან საინტერესო ეპიზოდი ჩვენი სანახაობის განვითარებისთვის...”

ქართველი რეჟისორის სტატია [www.readthewest.com](http://www.readthewest.com) ინტერნეტ-საიტზე მისის შუა რიცხვებამდე იქნება გამოქვეყნებული. შურნაკში მუდგე ნომერში ირაკლი მახარაძე შემოგთავაზებს სტატიას ცნობილ ამერიკელ რეჟისორზე, სემ ჰეინზზე.

დაბოლოს, როგორც ირაკლი მახარაძემ გვითხრა, სულ ახლახანს კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტს მიაკვლიეს, გურული მხედრები ამერიკულ მუხტურ ფილმებში – ვესტერნებსა და სათავგადასავლო სურათებში მონაწილეობდნენ. მათ იდენტიფიკაციას შემდგომი კვლევა ესაჭიროება.



# „ქალმა დაღუპა, ქალწული გადაარჩინა“

ორღეანელი ყანა

574 წლის წინათ, ასწლიანი ომის დროს, 1429 წლის 28 აპრილს ფრანგების ლაშქარს სათავეში ყანა დაარსდა. სწორედ მისი წყალობით გათავისუფლდა ალყაში მოქცეული ორღეანი, საფრანგეთი სწორედ ორღეანელმა ქალწულმა, 13 წლის გლეხის გოგომ, ყანამ გადაარჩინა. იმ დროს, როცა მისი თანატოლები თოჯინებით თამაშობდნენ, ყანა დაარსდა „უბიწო ანგელოზი სისხლიანი მახვილით“, ხალხების ბედს წყვეტდა. მაგრამ, როგორც მისი თანამედროვენი წერდნენ, მეტისმეტად კამპა ვარსკვლავები სხვებზე ადრე ქრებიან.

ტრუას ხელშეკრულების საფუძველზე (1420 წელი), კანონიერი მემკვიდრის, მომავალი მეფის, კარლოს VII ნაცვლად, საფრანგეთის ტახტზე ინგლისის მეფე, ჰენრი V უნდა ასულიყო - ფაქტობრივად, საფრანგეთი ინგლისს უერთდებოდა. ხალხში ხმა დაიბნა, რომ ამ ხელშეკრულების ინიციატორი საფრანგეთის დედოფალი, იზაბელა ბავარიელი იყო, და სწორედ იზაბელა გაერყელდა წინასწარმეტყველება: „საფრანგეთი ქალმა დაღუპა, საფრანგეთს ქალწული გადაარჩინა“.

დღის ნება იყო, თუ ისტორიული აუცილებლობა, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს: ფაქტია, რომ სამშობლოს მხსნელის მისია გლეხის ქალიშვილს, ყანას დაეკისრა. მას ხილვები ჰქონდა, მთავარანგელოზი მიჰქაედი, წმინდა ეკატერინე და მარგარიტა არწმუნებდნენ, რომ ის მეფე კარლოს VII-სთან უნდა მისულიყო და ქვეყანა გადაეღწინა.

1429 წლის 6 მარტს პატარა ყანა შინონის ციხე-სიმაგრეში, მეფესთან გამოცხადდა, და მოახსენა, რაც ზეციურმა მფარველებმა მოახსენეს: ის, ყანა, ღმერთს რჩეულია, ამიტომ ორღეანის ალყა სწორედ მან უნდა გაარღვიოს, და მანვე უნდა მიაბრძანოს მეფე რეიმსში, ფრანგი მეფეების მეფედ კურთხევის ადგილას. რეიმსის ტაძარში მიღწევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რად-



ყანა და რკი

გან ხალხის თვალში ის, რომ მეფეს სწორედ რეიმსში სცხებდნენ მირონს, მის კანონიერ მონარქად აღიარების ტოლფასი იყო. ყანამ მეფის დარწმუნება შეძლო და ლაშქართან

ერთად ორღეანისკენ გაემართა. ყველა მიხვდა, რომ ეს სწორედ ის ქალწულია, რომელიც საფრანგეთს გადაარჩინა. ამ რწმენით ფრთაშესხმულმა ლაშქარმა რამდენიმე იერი-

შის შემდეგ ალყის გარღვევა შეძლო - ყანა, „გამარჯვების ანგელოზი“, მამაკაცებთან ერთად იბრძოდა. ფრანგები დარწმუნდნენ, რომ უფალი მათ მხარესაა, და რეიმსისკენ ლაშქრობა სამეფო არმიის ტრიუმფალურ მსვლელობად იქცა. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიის დროს კარლოს VII-ის თავზე მოფრთხილეს დროშა ყანას ეჭირა.

მართალია, შემდგომი ომი, პარიზის აღების მცდელობა, წარუმატებლად დამთავრდა. ყანას დაწინაურებული მოთხოვნის მიუხედავად, ფრანგების ჯარმა უკან დაიხია, კვლავ ხმლით ხელში მემომარი ქალწული კი 1430 წელს ინგლისელებს ჩაუვარდა ტყვედ.

რუანში, ინკვიზიციის სასამართლოს წინაშე წამდგარ ყანას საშინელი ბრალდება წარუყენეს: ჯადოქრობა და მწვანელობა. ამით ინგლისელებს დაქვემდებარებულ ეკლესიას კარლოს VII-ისთვის ზიანის მიყენება ჰქონდათ დაგეგმილი: მეფე, რომელიც კუდიანმა აკურთხა! ყანა არნახული სიამაყით იცავდა თავს და თავის მეფეს, და იმდენი მოახერხა, რომ მწვანელობის ბრალდება მოიხსნა. მან ზეციური ხმების რწმენაზეც უარი თქვა და მამაკაცის ტანსაცმლის ტარებაზეც. განა გასაკვირია, რომ სიკვდილის ემინოდა? ამიტომ სამუდამო პატიმრობის განაჩენი სიხარულით მიიღო.

მაგრამ შემდეგ აშკარა პროვოკაციას ჰქონდა ადგილი: ყანას საკანში კვლავ მამაკაცის ტანსაცმელი შეუდგეს. ეს სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, და ყანამ თქვა, რომ მამაკაცის ტანსაცმელი საკუთარი რგბით ჩაიცვა და ძალიან ნაწობს, რომ საჯაროდ თქვა უარი თავის რწმენაზე.

ამ გაცხადების შემდეგ, ორი დღის თავზე, ის რუანში, ზაზრის მოედანზე, ცოცხლად დაწვეს.

1455-1456 წლებში ბურჟში ყანა დაარსდა რეაბილიტაციის პროცესი გაიმართა. 1920 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ ის წმინდანად აღიარა.

# დიადი გეგმა - ახალი სასახლე

ბერლინის ცენტრში „რესპუბლიკის სასახლე“ დგას, საკმაოდ შეუხედავი შენობა, რომელიც ოდესღაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენცია იყო. პუნდესტაგმა ჯერ კიდევ 2002 წელს გადაწყვიტა, რომ იქ სასახლე უნდა აშენდეს, ბაროკოს ელემენტებით შემკული ფასადით - 1950 წლამდე იქ სწორედ ასეთი შენობა იდგა, უბრალოდ გდრ-ს სახელმწიფოს მეთაურმა, ვალტერ ულბრიხმა გადაწყვიტა, რომ უნდა აეფეთქებინა, და ააფეთქა კიდევ.

სასახლის აღდგენა, თავისთავად, ჩინებული იდეაა, ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ - პროექტის განხორციელება 670 მილიონი ევრო დაჯდება. თან ჯერაც ვერ გადაწყვეტილია, გდრ-ს არქიტექტურის

ნიმუშს რა მოუხერხონ - არცთუ იოლი დასანერგეა. შნ ათას ტონას იწონის, და მისი წვრთვას მოპირდაპირე მხარეს, ტაობიან ნაგაღზე აღმართული ბერლინის დომი შეიძლება შპრეეში გადაიყვას.

სახელმწიფო ამ საქმის დაფინანსებაზე უარს აცხადებს. მწვანეებმა ბრძანეს, „ამჟამად ამ პროექტში ამხელა ფული ჩადება პოლიტიკური ხარაკირის ტოლფასიაო“. მაგრამ სიტყვა სიტყვაა. ბერლინელები მაინც სასახლის მოლოდინში არიან, და თუ გავიხსენებთ, რომ ყველა საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავთ ხოლმე, გასაოცარი არ იქნება, თუ ერთ დღეს ცენტრში მოსიყრენ ხალხს რესპუბლიკის სასახლის ნაცვლად მაინც ახალი ბაროკოს შედევრი დახედვს.

# პედეგრაზის დაბრუნება



ვინსენტ ვან გოგი „პარიზის ფორტიფიკაციები სახლების ფონზე“

BBC-ს ცნობით, მანჩესტერის მუზეუმიდან, Whitworth Art Gallery-დან მოპარული ვან გოგის, პიკასოს და გოგენის ნამუშევრები პოლიციამ აღმოაჩინა.

უცნობის მიერ მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე სამართალდამცავებმა ნახატებს მუზეუმის სიახლოვეს, საზოგადოებრივ საპირფარეოსთან მიაგნეს. ამის შემდეგ მუზეუმმა დაადასტურა, რომ აღმოჩენილი ნამუშევრები მართლაც ისაა, რასაც ეძებდნენ.

ყველაფერი ძალიან ოპერატიულად მოხდა: ვინსენტ ვან გოგის „პარიზის ფორტიფიკაციები სახლების ფონზე“ (1878), პაბლო პიკასოს „სილარობი“ (1903) და პოლ გოგენის „ტიტური პეიზაჟი“ (დაახლოებით 1893) კვირას, ღამით გაიტაცეს, დღეს კი ისინი კვლავ მუზეუმში დაადასტურა, რომ აღმოჩენილი ნამუშევრები მართლაც ისაა, რასაც ეძებდნენ.

# დედა-დედოფლის გახსენება

ინგლისის დედა-დედოფლის, ელისაბედის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ლონდონის „კლარენს ჰაუზი“, ფართო საზოგადოებისთვის წელს, ზაფხულში, პირველად გაიხსნება. მანამ, სანამ მასში დედოფლის შეილიშვილი, პრინცი ჩარლზი და მისი ორი ვაჟი, უილიამი და ჰარი გადასახლდებიან, პირველ სართულზე განლაგებული ხუთ ოთახს დამთავალიერებლები ეწვევიან.

„კლარენს ჰაუზი“ ბუკინგემის სასახლის სიახლოვეს, 1825 წელს, კლარენსის ჰერცოგისთვის, პრინცი უილიამ ჰენრისთვის იყო აშენებული. მეორე მსოფლიო ომის დროს ის



დედა-დედოფალი

წითელი ჯვრის საზოგადოების გარეკარგულებაში გადავიდა, და სწორედ იმხანად, დაბომბვის დროს დაზიანდა. მასში დღევანდელი დედოფალი, იმხანად პრინცესა ელისაბედ II-ც ცხოვრობდა, თავის მუდღელსთან, პრინცი ფილიპთან და ვაჟთან, ჩარლზთან ერთად.

ეს სახლი დედა-დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, შარშან გაარემონტეს. მის ხელეწიერების ნიმუშებით და ძვირფასი ავეჯით მორთულ დარბაზებში უფლისწული ჩარლზი სახელმწიფოს სტუმრებს მიიღებს ხოლმე.

# კროსკორდი

29 მარტიდან, შეიძინეთ გვერთეთ მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთავე 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიტატორ „საოჯახო ტოტოს“ გათამაშება.

ფორმა „ფენიქსი“ ჯიორჯინო ნამატებს.

დაწვრილობითი ინფორმაცია და კომუნიკაციების სისტემის იხილეთ ზაზამ 24 საათში

ნაგალი "სალხინო" ქართული ფლორის სანაცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტეტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ზერელის ჰგვითა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხნებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნალვლის ბუმტის (ქოლცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ შშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქში. ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ღირებულებას.